ია ჰალტაგაშვილი-ხანუქაშვილი

მე ხიყვარულით მოვედი თქვენთან

თბილისი
2005

უაკ (UDC) 894. 631-1
ხ 233

ისრაელისა და საქართველოს, ებრაელებისა და ქართველების მეგობრობას, ქვეყნად მშვიდობას და ადამიანთა გულებში სიკეთეს, სიცოცხლითა და ბუნების მშვენიერებით ტკბობას, წინაპრებისა და მომავალი თაობის სიყვარულს უძღვნის პოეტი თავისი ლექსების კრებულს.

ISBN 99940-37-30-7

მე ისრაელის მიფარავს ღმერთი

ჩემს დაკნინებას ნურვინ მოელის,
სარწმუნოების არ ვარ შემცვლელი,
მე ისრაელის მიფარავს ღმერთი,
ვამაყობ მით, რომ ვარ ებრაელი.

რომ ჩემი ერის ვარ ღვიძლი შვილი –
შთამომავალი დიდი იაკობის,
რომ ერი ჩემი არის ნაკურთხი,
ერი – ნაკურთხი დიდი მნათობის.

რას არ გვართმევდა, რას არ გვიქადდა,
რით არ გვწამლავდა მტერი ვერაგი,
მაგრამ ჩვენ მუდამ ღმერთი გვიცავდა,
ვერ მოგვერია ქვეყნად ვერავინ.

ვერ შეგვირყიეს ჩვენ ეს სიმტკიცე,
ვერ მოახერხეს წაქცევა ერის.
ვინც კი შელახა ჩვენი სიწმინდე,
მან სატანჯველიც იგემა ბევრი.

და რომ ჩვენ დღესაც ვართ, ვცოცხლობთ კვლავაც,
არ ჩაგვტეხია ცხოვრების ხიდი,
ეს ჩვენი ლოცვის მადლია მართლაც,
ეს ჩვენი ღმერთის ძალაა დიდი.

ო, ისრაელო! წმინდავ, მართალო,
მიყვარხარ, გეტრფი თავდავიწყებით.
მთელი არსებით მსურს გეთაყვანო,
შენი ერთგული მარად ვიქნები.

შენთან ვიქნები ჩემი ფიქრებით,
ამ მკერდში გული მიძგერს სანამდის.
ჩემი ნუგეში ხარ და იქნები,
შენ გამარჯვებით გევლოს მარადის!

მე საამაყო მაქვს მხოლოდ ერთი,
რომ ჩემი რწმენის არ ვარ შემცვლელი,
რომ ისრაელის მიფარავს ღმერთი,
რომ მე ნამდვილად ვარ ებრაელი.

ეთაყვანეთ ისრაელის გამჩენს!

— უცხო კერპებს ნუ დაუნთებთ სანთელს, —
ჩემს წინაპრებს ბრძნულად უთქვამთ ძველად.
ეთაყვანეთ ისრაელის გამჩენს,
სხვა მითების ნურაფერი გჯერათ.

წაიკითხეთ საკუთარი თვალით
ბიბლიაში საოცრება ერთი,
ფარაონმაც რომ თქვა ბოლოს კრძალვით,
— ნამდვილია მხოლოდ მოსეს ღმერთი.

წაიკითხეთ, ვინ ახდენდა მაშინ
სასწაულებს უხილავი ძალით,
ვინ ჩაახრჩო მშრალ, გაპობილ ზღვაში
ფარაონის უთვალავი ჯარი?

ვინ მოუხმო და უბრძანა მოსეს,
მიჰყოლოდა მის სურვილს და ნებას,
მოსეს თვალწინ ნაპერწკლებით, ლოდზე,
ვინ დაწერა წმინდა „ათი მცნება“?

დაუკვირდით, ვინ იცავდა მუდამ
ებრაელებს უთვალავი მტრისგან,
და მას, ვისაც ებრაელი სძულდა,
ვინ ატეხდა თავზე ათას რისხვას.

მოვუწოდებ, რომ ირწმუნოს ყველამ,
სჯობს, ნურავინ მოგვეპყრობა ცუდად.
ღმერთი ჩვენი პასუხს გასცემს დღესაც,
ვინც ჩვენ მიმართ განეწყობა მტრულად.

უცხო კერპებს არ დავუნთებ სანთელს,
არა, სხვა ღმერთს ვერ ვირწმუნებ, ვერა.
მე ვადიდებ ისრაელის გამჩენს
და ამ ქვეყნად სხვა არაფრის მჯერა.

კურთხეულია სახელი შენი

ღმერთო, ძლიერო, ისმინე ჩვენი
ლოცვა-ვედრება და ღაღადისი,
კვლავ გვიწილადე წყალობა შენი
და აგვიხდინე ოცნება ტკბილი.

შენა ხარ მხოლოდ იმედი ჩვენი,
შენზე ლოცვაა ჩვენთვის მთავარი,
ჩვენ ვართ უზომოდ მორწმუნე შენი
და შენი რწმენით ვართ სულმაღალნი.

ამას არ ვამბობთ ისე, შემთხვევით,
შენ წინ ქედს ვიხრით მთელი არსებით,
რადგან სამყაროს შენ ხარ შემქმნელი,
რადგან სიკეთის შენ ხარ თავდები.

შენ ხარ მსაჯული ყველა ჩვენგანის,
უსამართლობას თრგუნავს რომელიც,
ვერ მოგატყუებს, ვერა, ვერავინ
ყალბი ფიცით და ყალბი გოდებით.

დასაბამიდან შენ სასწაული
მოგიხდენია ქვეყნად რამდენი,
შენს ნება-სურვილს გვერდს ვინ აუვლის,
შენით ვიწყებით, შენით ვმთავრდებით.

კურთხეულია სახელი შენი,
მარადიული შენი არსება,
შენი ძალა და შუქი ნათელი,
შენი დიდება და უკვდავება!

ო, ისრაელო!

ო, ისრაელო, აღთქმულო მიწავ,
მიწავ ნაკურთხო მაღალი ღმერთის,
მრავალტანჯული ჩემი ერისთვის
შენ ხარ იმედი დღეს ერთადერთი.

დღეს, როცა ჩემს ერს შენკენ მოუხმობს
თვალუწვდენელი შენი ველები,
ნუ გამიწყრები, წინაპართ მიწავ,
მე თუ ჩემს თბილისს ვერ შეველევი.

ვერ გამომითქვამს, რარიგად მიმძიმს
მე მიტოვება მშობელი მიწის,
თუმც სიყვარული მაქვს შენი დიდი,
ვერ შეველევი მე თბილისს, ვიცი.

მაგრამ თუ მაინც მარგუნა ბედმა
შენთან წამოსვლა, შენთან დარჩენა,
ჩემს დიდ სიყვარულს საქართველოსას
მე თან მოვიტან ჩემდა სარჩენად.

ვერ დავივიწყებ, ვერა, იმ მიწას,
სადაც დამეწყო მე მაჯისცემა,
სადაც ყოველთვის მე გულს მითბობდა
ქართველი ხალხის პატივისცემა.

სადაც ავიდგი ფეხი პირველად,
ვიგრძენი მშობლის ალერსი თბილი,
სადაც ჩემს ძვირფას ოჯახთან ერთად
მე გავატარე დღეები ტკბილი.

ხომ გაიგონე, ო, ისრაელო,
ჩემი გულისთქმა და ღაღადისი,
შენ თუ სამშობლო ხარ ჩემი ერის,
სამშობლო ჩემი არის თბილისიც.

ასე გამოდის, ჩემს ერს დალოცვილს
ჰყოლია ორი დედა — მშობელი,
ორი ძლიერი ძალა მფარველი
და ორი სხივი მანათობელი.

მე გულით მინდა, ეს ძალა ორი
ერთად ვაქციო, გავხადო მთელი,
სამარადჟამოდ ერთად დავლოცო
მე საქართველო და ისრაელი.

***

ოცდაექვსი საუკუნე
გვიფარავს და გვიცავს
საქართველოს საოცარი,
მადლიანი მიწა.

სიყვარულის, ერთგულების
უწმინდესი გრძნობა,
ქართველთა და ებრაელთა
უანგარო ძმობა.

ოცდაექვსი საუკუნის
მეგობრობის ძალა,
ერთმანეთის დაფასების
საამური განცდა.

ჩვენ ხომ ერთად განვიცადეთ
ტკივილიც და შვებაც,
გამარჯვებაც, დამარცხებაც,
ლხინიც, ჭირთათმენაც.

ვიყავით და კვლავ ვიქნებით
ერთად, ისევ ერთად,
ჩვენი ტკბილი მეგობრობა
არის ღმერთის ნება.

დალოცვილი იყოს მარად
ეს ლამაზი გრძნობა –
ქართველთა და ებრაელთა
წარუშლელი ძმობა.

სამშობლო

სამშობლო – ჩემი დედა,
გრძნობის უშრეტი წყარო,
სამშობლო – გულის ფეთქვა,
რითიც ვცოცხლობ და ვხარობ.
ჩემი უსაზღვრო შვება
და სიამაყე დიდი,
სამშობლო – დედა ენა,
დედის რძესავით ტკბილი.
სამშობლო – ჩემი ნატვრა
და სიყვარული წრფელი,
სამშობლო – სულის აღთქმა
და მონატრების ცრემლი.
ჩემი ცხოვრების არსი,
ჩემი ნათელი კერა,
რასაც ვერ გავცვლი სხვაში,
რასაც ვერ დავთმობ, ვერა.
სამშობლო – ჩემი დედა,
ფიქრი დღისა და ღამის,
სამშობლო – ჩემი რწმენა,
არდავიწყება წამით.

დიდება შენდა, იერუშალაიმ

უფლის ნაკურთხო წმინდა ალაგო,
ეგ სიდიადე რარიგად გშვენის,
მსურს მოსეს ენით გელაპარაკო,
რომ გამოვხატო გრძნობები ჩემი.

ოქროს ფერები, როგორც ღვთის მადლი,
უხვად დაგნათის ყოველი მხრიდან,
თითქოს უფალი დავითის ფარით
მფარველ ანგელოზს გიგზავნის ციდან.

როგორ გაუძლოს გულმა ცდუნებას,
არ შეგიყვაროს შენ ერთი ნახვით,
არ მოეფეროს შენს ლაღ ბუნებას,
არ გიერთგულოს, იერუშალაიმ.

შენს სიწმინდეზე ვღაღადებთ ერთხმად,
შენთვის ვლოცულობთ გულით ალალით,
მშვიდობა შენდა, სიკეთე შენდა,
დიდება შენდა, იერუშალაიმ!

ჩემო თბილის ქალაქო

შენ გიმღერი საოცნებო,
უწმინდესო ალაგო,
ყველა მადლით შეკაზმულო,
ჩემო თბილის ქალაქო.

თავს დაგნათის ნაირფერი
ცისარტყელა ციური,
შენით სუნთქავს, შენით ხარობს
საქართველო მზიური.

ვის არ ხიბლავს შენი ეშხი,
გრძნობით ვის არ აღანთებს,
მშვენიერო მარგალიტო,
რა ზღაპრულად ანათებ.

დაილოცოს ზეცა შენი,
ძმობის სხივს რომ აელვებს,
მეგობრობის ურყევ ძალით
მრავალ ერს რომ აერთებს.

შენი მიწის სიდიადე,
აბა, როგორ არ ვაქო,
შენ, ლეგენდად გაჩენილო,
უკვდავების ქალაქო.

მთელ რიგ მოძმე ქალაქებთან
ძმადნაფიცო, ალალო,
შენ, ქალაქო უძველესო,
მაგრამ მარად ახალო.

მრავალ ომში დაქანცულო,
საარაკოდ ქცეულო,
მტრის წინაშე ქედუხრელო,
გამარჯვებას ჩვეულო.

კვლავაც ივლი გამარჯვებით,
გვჯერა შენი ძალისა,
რადგან, ტურფავ, ხარ ნაკურთხი
ვახტანგ გორგასალისა.

მარად ტკბილო, საოცნებო,
უწმინდესო ალაგო,
ყველა მადლით შეკაზმულო,
ჩემო თბილის ქალაქო.

ძველი თბილისის განახლებული უბანი

თუ გსურთ იხილოთ ძველი თბილისის
მთელი მშვენება და სიდიადე,
მოდით, ეწვიეთ ამ წარმტაც უბანს,
დამეთანხმებით, არ ვაზვიადებ.
სულ მთლად შეცვალა ბარათაშვილის
ქუჩა ზღაპრულმა შემოგარენმა,
ვუმზერ და ვფიქრობ, ამ ადგილებში,
ნუთუ, ოდესმე შემოღამდება?
აღდგა, განახლდა, კვლავ ძველებურად
ქალაქის გულმა ფრთები გაშალა
და პანორამა ძველი თბილისის
მთელი სიცხადით გადაიშალა.
შეხედეთ ძველი ციხის ქონგურებს,
მშვენიერ სახლებს, ქართულ აივნებს
და ამ ქალაქის დიდებულ წარსულს
უმალ ჩაწვდებით, უმალ გაიგებთ.
მშვენიერების კერად ქცეულა
ეს უძველესი ქუჩა, უბანი.
მნახველთ გულღიად ეგებებიან
„საჭაშნიკე“ და „მუხრანთუბანი“.

ეს ძველი კონკაც ისე კოხტად დგას,
მოდი და კაცს ნუ გაგიკვირდება,
თითქოს მზადაა, უჩვენოს მგზავრებს
ძველი თბილისის ავლადიდება.
არ ვიცი, ენით როგორ გამოვთქვა,
ეს სილამაზე ზღაპრული არის,
აქვე ყოფილა ძველი გალავნის
დიდი კარიბჭე – „მოედნის კარი“.
ვინ იცის, იქნებ აქ ამოსჩქეფდა
ის შადრევანი გოგირდის წყლისა
და იქნებ მაშინ აქ ჩამოფრინდა
ხოხობი მეფე გორგასალისა.
ამ სილამაზით განცვიფრებული
ვუმზერ ძველ თბილისს, გულს უხარია
და უნებურად თვალწინ მიდგება,
რაც მას მტრისაგან აუტანია.
გაივლის დრო და უფრო წარმტაცი,
უფრო ზღაპრული გახდება იგი,
კვლავ სანაქებოდ დარჩება ქალაქს
ეს მშვენიერი, წმინდა ადგილი.

1982 წ.

თბილისი

მე ბევრი გრძელი გზა გამივლია,
ბევრი ზღვის კიდე გადამილახავს,
მაგრამ ქალაქი თბილისისთანა
სხვაგან მეორე არსად მინახავს.
ო, ეს ზღაპრული მშვენება, მართლაც,
რა ძალამ შექმნა ან რა თილისმამ,
ეს საოცარი მადლი მიწისა
რით დაიმკვიდრა დედა თბილისმა?
თბილისი — სულ სხვა სიკეთის კერა,
ჩემი ოცნების ქალაქი წმინდა,
მის ლაჟვარდ ზეცას ვუმღერო მარად,
მე დაუცხრომლად მხოლოდ ეს მინდა.
ჩემი თბილისის ეს ტრფიალება
ცხოვრების გზაზე სულ თან დამყვება.
მისი მშვენება, მისი დიდება
მიხარია და მეამაყება.
რამდენი გრძელი გზა გამივლია,
თვალით რამდენი კარგი მინახავს,
მაგრამ მშვენება თბილისისთანა,
ვფიცავ, მეორე არსად მინახავს.

საქართველო

ჩემო ტურფა საქართველო,
შენ ედემის სადარო,
თუ არ ედემს, ეშხი შენი,
აბა, რას შევადარო?
        რამდენჯერ ვთქვა ქება შენი,
        სულ სხვა მადლით ცხებულო,
        გულმართალო, ფესვმაგარო,
        ცამდე ამაღლებულო.
მრავალ მგოსანთა მშობელო,
დევგმირების აკვანო,
შოთას სიბრძნით სხივმოსილო,
სიყვარულის ზღაპარო.
        მიყვარს შენი მთაც და ბარიც,
        ველ-მინდვრები ზღაპრული,
        შენი ზეცა, შენი ხალხი,
        შენი მიწა ქართული.
ჩემო ტურფა საქართველო,
მთლად ედემის სადარო,
ჩემი სულის და გონების
ჩაუქრობო ლამპარო.

1978 წ.

მე თბილისის ზეცამ მშობა

მე თბილისის ზეცამ მშობა,
გრძნობით ნამი მაპკურა,
გამათბო და მშობლიური
კალთა გადამახურა.

მე თბილისის მიწამ მზარდა –
სულ სხვა ეშხით განთქმულმა.
მიწამ – მადლით დანამულმა,
მიწამ თბილმა, ქართულმა.

მე თბილისის სიყვარული
გულში ლამპრად მინთია,
წამით მასთან განშორება,
რა ვქნა, არ შემიძლია.

თბილისო ჩემო

აქ დავიბადე, აქ გავიზარდე,
აქ განვლეს ჩემმა ძვირფასმა წლებმა,
ამ ჩემს ქალაქში თვით მზეც და ხალხიც
სულ სხვა ხალისით განთიადს ხვდება.
თბილისი, ეს ხომ ის ქალაქია,
სადაც მრავალი კარგი ყმა იშვა,
სადაც მრავალი ქართველი გმირი
მის დასაცავად უდრეკად იდგა.
ისინი მკერდით იცავდნენ ქალაქს,
მედგრად, უშიშრად მუსრავდნენ მტერსა,
მათი გმირობა და თავგანწირვა
შემორჩენია ლეგენდად ერსა.
თბილისო ჩემო, მეც შენ მიყვარხარ,
მზად ვარ დაგიცვა, მზად ვარ გადიდო.
აბა, მითხარი, მე შენზე მეტად
სხვა რა მიყვარდეს, სხვა რა ვადიდო?
თბილისო, შენი ღვიძლი შვილი ვარ,
არ დაგივიწყებ ერთი წამითაც,
მეც მოვალე ვარ, შენი ღირსება
რომ საკუთარი მკერდით დავიცვა.

სამშობლო

მე შენი წინსვლა და სიდიადე,
სამშობლო ჩემო, ისე მახარებს,
რომ სიამაყის გრძნობას, ძვირფასო,
მე განუყრელად სულ თან ვატარებ.

დღეს შენს მადლიან, წმინდა მიწაზე
შენ ძლევის დროშა გაქვს შემართული.
მამულო ტკბილო, ტრფიალი შენი
ამ ჩემს გულში მაქვს მე შენახული.

შენთვის ვიბრძოდე, შენთვის ვიღვწოდე,
შენთვის ვშრომობდე მთელი სიცოცხლე,
ეს სიყვარული ასე ძლიერი
ვით მომანიჭე, ნეტავ ვიცოდე.

გრძნობით მათრთოლებს სიტურფე შენი –
დიადი ზეცის მადლით ცხებული,
ამას გისურვებ, სამშობლოვ ჩემო,
მტერი სულ გყავდეს დამარცხებული.

შენი ერთგული ვიქნები მარად,
გავიმეორებ ამას ათასჯერ,
შერცხვეს ის კაცი, ვინც მიწას შენსას
არ ადღეგრძელებს გულით მრავალჯერ.

დაე, მარადჟამ ასე გვენახე –
პირმომცინარე, გალაღებული,
რომ დროშაც შენი ყოველთვის ასე
იყოს მზის სხივით განათებული.

საქართველო

მე შენს სიყვარულს საქართველო გულით ვატარებ.
მამულო ტკბილო, აწმყო შენი როგორ მახარებს.
ზეიმობს გული, რომ აღსრულდა ოცნება შენი
და განიცადე ნეტარება უთქმელი ენით.

შენ მთელი გრძნობით გიგალობა დიდმა რუსთველმა,
შენთვის სიცოცხლე არ დაზოგა ბევრმა ქართველმა.
შენ რა ვარამი გაწუხებდა, ერმა იცოდა
და შენი ხსნისთვის მამაცურად, მედგრად იბრძოდა.

შენს დაპყრობაზე ოცნებობდა ბევრი მტარვალი,
შენს მიწა-წყალზე მძვინვარებდა ომი მრავალი.
მტრებმა რამდენი ბოროტების გესლი გასხურეს,
მუხანათურად რომ გტაცებდნენ ვაჟებს, ასულებს.

თუმც ბევრი ტანჯვა მოგაყენა წყეულმა მტერმა,
მაინც ვერაფრით ვერ გაგტეხა ჯალათთა ხელმა,
რადგან მტრის რისხვას შენ სიმხდალით როდი ხვდებოდი,
მას შენ ყოველთვის ვაჟკაცურად უმკლავდებოდი.

და ვით ბერმუხა, დგახარ ახლა შენ შემართული,
მტერი ვერაგი საბოლოოდ გყავს შელახული.
დღეს შენ ყველასთვის სასიკეთოდ გზა გაქვს გახსნილი,
ერთგულს მოყვრულად ეგებები, მტერს კი მახვილით.

შენი ზღაპრული სილამაზე ვის არ სმენია,
შენთან მცირე ხნით განშორებაც ძალზე ძნელია,
მრავალი ერის სანუკვარო, ტკბილო ზღაპარო,
დიდი დავითის და თამარის წმინდა ტაძარო.

სადღეგრძელო

დამისხით ღვინო მადლიანი, ყველგან ქებული,
ეს სადღეგრძელო სულ სხვა ეშხით მინდა დავლიო.
მე საქართველოს სიყვარულით ვარ ანთებული,
მე საქართველოს სადღეგრძელო უნდა დავლიო.

გთხოვთ, მომაწოდეთ მე ეგ ღვინით სავსე ფიალა,
დღეს არ ვუმღერო მამულს, გული მომითმენს განა?
მე სიყვარულმა ამამღერა, ღვინომ კი არა,
იმ სიყვარულმა, სიყრმიდანვე რომ მადევს ვალად.

რაგინდ მაწამონ, რაგინდ მტანჯონ, მარქვან ყოველი,
მე ამ სიყვარულს ვერ წამართმევს ქვეყნად ვერავინ.
საქართველოსგან გულით მარად განუყოფელი –
ვიქნები მისი კვლავ მეხოტბე და მომღერალი,

მისი მგოსანი დაუღლელი, დაუცხრომელი,
მისი მგზნებარე პატრიოტი – გასაკვირველი.
სამშობლო არის და იქნება ჩემი ოცნების,
ჩემი გრძნობების, ჩემი ლექსის პწკარი პირველი.

დამისხით, ძმებო, მე ეს ღვინო მართლაც ქებული,
დღეს სულ სხვა ეშხით მინდა შევსვა ეს სადღეგრძელო.
მე საქართველოს სიყვრულით ვარ ანთებული,
მე საქართველოს ძლიერების ვსვამ სადღეგრძელოს.

საღამოს

როცა დუმდება ირგვლივ ყოველი,
დგება საღამო საამო, წყნარი,
როცა ინთება ცა ვარსკვლავებით
და მთვარის შუქზე ლივლივებს მტკვარი,

მე გამოვდივარ ჩემს აივანზე,
რომ ამ მშვენების დამატკბოს მზერამ,
გული ვერ უძლებს გრძნობათა ღელვას
და ვიწყებ უმალ ლექსების წერას.

ვწერ დაუცხრომლად, ვწერ მთელი გრძნობით,
რასაც მკარნახობს მე გული ჩემი.
ვწერ სიყვარულით, ვწერ სიამაყით,
რომ სულ სხვა არის თბილისი ჩემი.

რომ სულ სხვა არის ეს ზეცა ჩემი,
ასე ზღაპრულად რომ შვენის თბილისს,
რომ ხილვა მისი ამანთებს გრძნობით
და გამიყუჩებს ყოველგვარ ტკივილს.

რომ წამით მაინც არ ძალმიძს დავთმო
მე სიყვარული მშობელი მიწის,
რომ მტერთან შებმაც, შრომაც, მოლხენაც
საქართველოში სხვაგვარად ვიცით.

ვწერ და უმალვე სულის სიღრმეში
რაღაც საოცარ შვებას განვიცდი,
მინდა დავწერო კვლავ ძალზე ბევრი,
მაგრამ დრო მიჰქრის, დრო მე არ მიცდის.

მსურს, პოეზიას დავუნთო სანთლად
ეს ჩემი გული სპეტაკი, წრფელი,
რომ მეც ოცნებით ვიფრინო მაღლა
და დავიოკო ფიქრები მწველი.

მე ჩემს გულისთქმას, სიხარულს, სევდას
ლექსებში ვაქსოვ სათუთად, ფრთხილად
და ამ ლექსებით ვუმღერი ყველგან
ჩემს ხალხს, ჩემს მამულს ხალისით, ტკბილად.

1980 წ.

***

მე საქართველოს შვილი ვარ –
გამორჩეულად ერთგული,
ჩემს სამშობლოზე დღემუდამ
უზომოდ შეყვარებული.

მე საქართველოს შვილი ვარ –
ღვთიური მადლით ცხებულის,
სიკეთით და სიყვარულით
საოცრად გულანთებული.

ჩემი ლამაზი მიწა-წყლის
კეთილდღეობის მდომელი –
მე საქართველოს შვილი ვარ
და მიყვარს ჩემი მშობელი.

ვადღეგრძელოთ

ვადღეგრძელოთ, მოდით, ყველამ ერთად,
ორი ერის მეგობრობის ნიშნად,
საქართველოს მადლიანი ზეცა,
ისრაელის დალოცვილი მიწა.

ორი ერის საარაკო ძმობა,
დალოცვილი მიწისაც და ცისაც
სიყვარულის, თანადგომის გრძნობა –
ოცდაექვსი საუკუნის ხნისა.

ვადღეგრძელოთ, რომ კვლავ ვიყოთ ერთად,
განუყრელად ერთად, ისევ ერთად,
ჭირშიც, ლხინშიც, სიყვარულშიც ერთად,
რომ მართალნი ვიყოთ ისევ ღმერთთან.

მაშ, დავლოცოთ ეს ღვთიური რწმენა,
ასე ძლიერ რაც გვიფარავს, გვიცავს.
გაუმარჯოს საქართველოს ზეცას
და დალოცვილ ისრაელის მიწას.

საქართველოს სადიდებელს ვმღერი

ძველ თბილისის ერთ მშვენიერ სახლში
მე, ასული ებრაელი ერის,
სიყვარულით, შემართებით, კრძალვით
საქართველოს სადიდებელს ვმღერი.

ჩემს ფანჯარას როცა სისხამ დილით
მზის სხივები ეფინება ნაზად,
მეძალება მე სურვილი დიდი,
ჩემს მუზასთან ვინავარდო ლაღად.

მეძალება, კვლავ ლამაზად რომ ვთქვა,
რაც კი დღემდე მე რატომღაც ვერ ვთქვი,
რომ მშვენიერ მზის სხივებთან ერთად
მე დავწერო ლექსი კიდევ ერთი.

გულო ჩემო, გაუმკლავდი გრძნობებს,
რომ არავინ არ გიწოდოს მხდალი,
არ შეშინდე, შენ მოდგმა ხარ მოსეს
და დავითის დაგიფარავს ფარი.

მე სიცოცხლეს ვეტრფი განა მისთვის,
რომ ცხოვრება გავატარო მშვიდად,
ერთგულებით მშობლიური მიწის
ვალი ჩემი მოვიხადო, მინდა.

ჩემი ქვეყნის სიკეთეზე ფიქრით
ღამეებიც, დე, ვათიო თეთრად,
სიდიადე და სიწმინდე ვისიც
მე ვირწმუნე სიცოცხლეზე მეტად.

ამ სიყვარულს ძლიერს, ენით ართქმულს,
ამ ჩემს გულში ვერ ჩაახშობს ვერვინ,
სიყვარულით გულანთებულ ასულს,
მწამს, ვერაფერს ვერ დამაკლებს მტერი.

ძველ თბილისის ერთ მშვენიერ სახლში
მე, ასული ებრაელი ერის,
სიყვარულით, შემართებით, კრძალვით
საქართველოს სადიდებელს ვმღერი.

თბილისობა

რა მშვენიერი დარია,
გულიც რარიგად ძგერს,
გამოდით, ერთად ვილხინოთ –
თბილისობაა დღეს.

ოქტომბრის შუქით გამთბარა,
გალაღებულა მთლად
ჩვენი თბილისის ბუნება,
ჩვენი თბილისის ცა.

ბრწყინავს ვახტანგის ქალაქი
ცისარტყელებისფრად,
ვით ნატვრისთვალი ლამაზი,
რომ ვერ მოწყვიტავ თვალს.

ზეიმობს დედა თბილისი,
ზეიმობს ხალხი ზღვა
და შემოდგომაც გულუხვი
ამით იწონებს თავს.

იქით სიმღერა გაისმის,
ზურნა-დუდუკის ხმა,
აქეთ ცეკვაა, თამაში,
ქეიფი, ღვინის სმა.

ეს დიდებული ზეიმი
მართლაც სასწაულს ჰგავს,
რა შეძლებია ამ მშრომელ,
სტუმართმოყვარე ხალხს.

ო, რა მზიანი დარია,
გულიც რარიგად ძგერს,
ვილხინოთ, ერთად ვილხინოთ —
თბილისობაა დღეს.

***

შემაძლებინე, ღმერთო, ოდესმე,
ამაზე ძვირფასს არ გთხოვ არაფერს,
მეთქვას ამაყად: — ჩემი სამშობლოს
მე ღირსეული ვარ მოქალაქე!

ჯერ შეიცადე

ჯერ შეიცადე, მე გთხოვ, ჩემგან ჯერ ნუ მიდიხარ
შენ, სიყმაწვილევ საოცნებო, ტკბილო, ნეტარო.
მე მთელი ძალით ახლა უფრო მეტად მინდიხარ,
ბურანში მყოფი ვშიშობ, უცებ არ გამეპარო.

შენ სახე ცაში მონავარდე ფრინველს მიგიგავს,
ვიცი, ჩემგანაც გაფრინდები მალე, უდავოდ.
მე რაღაც ძალა, რა ვქნა, მაინც შენკენ მიზიდავს,
არ ძალმიძს დაგთმო ასე უცებ შენ სამუდამოდ.

ჯერ შეიცადე, კიდევ ერთხანს რომ დავტკბე შენით,
მე თავი ჩემი ხანდაზმულად ჯერ არ მიცვნია.
ჯერ ხომ ხალისით, სიყვარულით ძგერს გული ჩემი,
ეგ თასი შენი ხომ ბოლომდე არ დამიცლია.

ჯერ შეიცადე, გევედრები, ჯერ დარჩი ჩემთან,
რომ კვლავ შეგხარო შენ — სანატრელს,
სინათლის მფლობელს.
ნუ ამაჩქარებ და მეც ვალს არ შევიწევ შენსას,
მეც მთელი გრძნობით გიგალობებ ტკბილ სამადლობელს.

სული ლამაზი

რად მინდა, კაცი იყოს ლამაზი,
ის სილამაზე წლებს მიაქვს, ქრება.
კაცს უნდა ჰქონდეს სული ლამაზი,
რომელიც მარად ცოცხლობს, არ კვდება.

რად მინდა ოქრო-ვერცხლი ურიცხვი,
თუ ის მიწაში უქმად მარხია,
მას მირჩევნია, ხალხი ურიცხვი
საქმეს მიქებდეს კეთილს, მადლიანს.

რის მაქნისია ოქროს სასახლე,
თუ კარი მისი ჩარაზულია,
მას მირჩევნია ოდა, სადაც მე
სტუმარს დავხვდები თბილად, გულღიად.

რად მინდა, კაცი იყოს ლამაზი,
ის სილამაზე წლებს მიაქვს, ქრება.
კურთხეულ იყოს სული ლამაზი,
რომელიც მარად ცოცხლობს, არ კვდება.

***

სიმართლეს ლამპრად დავინთებ,
ხელში ავიღებ კალამსა,
სიყვარულს, ძმობას, სიწმინდეს
ლექსებს მივუძვნი ლამაზსა.

ოცნებით ყველგან გავკაფავ
გზას ვიწროს, ძნელად სავალსა,
სიკეთით გულანთებული
მადლს გავაკეთებ მრავალსა.

სნეულს იმედით განვკურნავ,
ბალღებს ვუმღერებ ნანასა,
დაცემულს ხელს გავუწოდებ,
მწყურვალს წყალს მივცემ ნანატრსა.

ორგულს, ფლიდს და მოღალატეს
არ გავიკარებ თვალითა,
მოყვარეს გულს გავუხარებ,
მტერს კი გავხეთქავ ჯავრითა.

კეთილს უკვდავყოფ, ვადიდებ
სიკეთის ტკბილი წამლითა,
ბოროტს შევებმი, დავთრგუნავ
ამ ჩემი ბასრი კალმითა.

***

ისევ იჩინეს თავი გრძნობებმა,
ისევ შემიპყრო ლექსის სურნელმა.
ისევ ოცნება, ისევ ცად ფრენა,
ისევ მუზასთან გასაუბრება...

ჩემი ხარ რადგან შენ გაგრძელება

რაც კი სიკეთე არსებობს ქვეყნად,
მსურს მოგაფრქვიო ლამაზ ფერებად.
მე შენში მთელ ჩემს იმედებს ვხედავ,
ჩემი ხარ რადგან შენ გაგრძელება.
შენშია ჩემი სიცოცხლის ძალა,
შენთვის ვმღერივარ, თუ მემღერება.
შენ შემოგწირავ ყველაფერს, ალბათ,
ჩემი ხარ რადგან შენ გაგრძელება.
მე შენს სიხარულს მივიჩნევ შვებად,
შენთვის ტანჯვაც კი ხსნად მეჩვენება,
რადგან მიყვარხარ ყველაზე მეტად,
რადგან ჩემი ხარ შენ გაგრძელება.
რასაც ველოდი, რასაც ვეტრფოდი,
რის გაკეთებაც მე ვერ შევძელი,
შენ უნდა გაჰყვე ჩემს გზას ბოლომდე,
შენ უნდა შეძლო, რაც ვერ შევძელი.
დე, აგამაღლოს შენმა ქმედებამ,
რომ ვიამაყო მთელი შეგრძნებით,
რადგან ჩემი ხარ შენ გაგრძელება,
დამილოცნიხარ, იყავ დღეგრძელი!

***

მე ჩემს კაეშანს არვის ვუმხელდი,
სხვის შეწუხებას არ ვარ ჩვეული,
სულ მარტოდმარტოს თოვლში, ქარბუქში
გადამილახავს გზები წყეული.

რწმენით აღსავსემ, ჩემს ბედისწერას,
ვიცოდი, ვერსად გავექცეოდი,
ძლიერ მიჭირდა, მაგრამ სხვას მაინც
შველას არ ვთხოვდი, არ ვეცემოდი.

მხოლოდ ხანდახან, მხოლოდ ხანდახან,
როდესაც ძლიერ დავიღლებოდი,
მე უფალს ვთხოვდი შველას ჩურჩულით,
შველას ჩურჩულით ვევედრებოდი.

ამგვარ ყოფაში, ბედთან ჭიდილში
რაღაც სისწრაფით მიჰქროდნენ წლები,
სიკეთეს ვთესდი, უფალს, განგებას
რომ შეესმინა ვედრება ჩემი.

რომ ძალზე დაღლილს ოდესღაც მაინც
ბედნიერება მენახა თვალით,
რომ მომეხადა პირნათლად, კრძალვით
ადამიანის სპეტაკი ვალი.

და ერთხელ, მართლაც, განგების ძალამ
თითქოს ისმინა ვედრება ჩემი,
ტკბილი ოცნება მიქცია ცხადად,
ბედნიერების შემასხა ფრთები.

უცებ გაფანტა ბურუსი ირგვლივ,
გზად გამითენა დილა მზიანი,
და დავალ ახლა მეც გამართული —
ბედნიერების თანაზიარი.

თბილისი, 1989 წ.

შარს ნუ მეტყვი, ნუ დამაღონებ

მე შენმა ტრფობამ მთლად გამაწამა,
აღარ მაქვს შვება და მოსვენება,
შენ გახდი ჩემი ტკბილი ოცნება,
ჩემი ცდუნება და მოჩვენება.

დარში, ავდარში, სიზმარში, ცხადში
მე არ მასვენებს შენზე ფიქრები.
მინდა ვირწმუნო, სულზე უტკბესო,
რომ სამუდამოდ ჩემი იქნები.

მე შენი ხილვა, ტურფავ, მაგონებს
ცაზე მნათობის ამობრწყინებას.
ისე მიყვარხარ, რომ შენთან ყოფნა
მე არასოდეს არ მომწყინდება.

შენ გეტრფის გული, შენ გემონება,
მოვსულვარ შენთან ამის სათქმელად,
შენთვის რამდენი ღამე უძილო
შემომიწირავს წმინდა სანთლებად.

დრო აღარ იცდის, მიჰქრის, მიღელავს,
შენს თანაგრძნობას გულით მოველი,
გთხოვ, შემიბრალო და არ გამრიყო
შენი ერთგული, შენზე მლოცველი.

გახსენი ბაგე, ნულარ მაწამებ,
შენი ტკბილი ხმა კვლავ გამაგონე.
გემუდარები, დიდ სიყვარულზე
უარს ნუ მეტყვი, ნუ დამაღონებ.

***

შემომანათებ თვალებს მალულად,
ჩემ შორიახლო ჩაივლი როცა,
შემიქანდება გული ძალუმად
და მეც ბალღივით გიღიმი მორცხვად.

შემომანათებ თვალებს მალულად
და მე არ ვიცი, არ ვიცი დღესაც,
რისთვის შეგხარი ასე ძალუმად,
შენი თვალების მე რატომ მჯერა.

***

როცა დარჩები ფიქრებთან მარტო
და იდუმალი გეწვევა სევდა,
ჩემი სახელი ახსენე, კარგო,
ვიგრძნობ და უმალ გავჩნდები შენთან.

მე გაგიფანტავ აბეზარ ფიქრებს,
თვალებს გაგიყრი თვალებში მორცხვად
და ნანატრ სიტყვებს წარმოვთქვამ ისე,
როგორც ქალწული მხურვალე ლოცვას.

როცა დარჩები სულ მარტოდმარტო,
როცა გეწვევა ფარული სევდა,
მხოლოდ მინატრე, მე მოვალ, კარგო,
და სამუდამოდ დავრჩები შენთან.

***

გოგოვ, თავი დამანებე,
გონს ნუ მირევ, მომეშვი,
რატომ მაგდებ უმოწყალოდ
შენი ტრფობის მორევში?

ხან რომ თვალებს მიჟუჟუნებ,
ხან კი შორ-შორ გამირბი,
დამიკარგე მოსვენება,
რას მიქადი, არ ვიცი.

გირჩევ, შენი ორგულობით
ნუ გამიჩენ იარებს,
თორემ, ვფიცავ, ამ საქციელს
ბოლოს შენვე ინანებ.

გოგოვ, თავი დამანებე,
გონს ნუ მირევ, მომეშვი,
ნუ ჩამაგდებ, გევედრები,
შენი ტრფობის მორევში.

მუხამბაზი

შენთან ყოფნა ამ გულს რატომ სწადია,
შენი ხილვა ასე რად მიხარია?
ჩემი იყო, რა ვქნა, მინდა ძალიან,
რომ მიყვარხარ, განა ჩემი ბრალია.
შენი ეშხით ვეტრფი ღამეს მთვარიანს,
ეგ თვალები სულ ჩემ თვალწინ არიან,
შენზე ვფიქრობ, წვიმაა თუ დარია,
გულს უშენოდ არსად არ უხარია.
შენს სიყვარულს რა ვუწოდო, რა ვარქვა,
ვით შეგამკო, სანატრელო, რაღა ვთქვა?
ამდენ ფიქრებს თავი როგორ გავართვა,
შენმა ტრფობამ მთლად სიმშვიდე წამართვა.
მე ამ ქვეყნად, ნეტავ, რისთვის მოვედი,
რად მიყვარხარ ასე, რად გემონები?
მე დაგეძებ, შენ კი სულ მემალები,
რომ მაწამებ, ნუთუ არ გებრალები?
მიპასუხე, მითხარ, რა გზას დავადგე,
რა ვქნა, კარგო, ამ გულს თუ შენ განაგებ?
თავი ჩემი მე ხომ შენ განაცვალე,
სხვა რაღა გსურს, მაშ რაღაზედ მაწვალებ?

სატრფიალო

მე შენი სხივით ვსულდგმულობ,
შენზე ოცნებით ვსუნთქავ.
იცი, რა ძლიერ მიყვარხარ?
შენ მელანდები მუდამ.
        გულს სიყვარული სწყურია,
        ჩქარობს, ბობოქრობს, ღელავს.
        გრძნობისგან ალმოდებული
        შენ გევედრები შველას.
შენ, ჩემი ბედის ვარსკვლავო,
ჩემო დარდო და ლხენავ,
მაჩუქე ბედნიერება,
მაკმარე დარდი, წყენა.
        შენთვის მე რას არ ჩავიდენ
        გადარეულის მსგავსად,
        ვერ დაგთმობ, ვერა, იცოდე,
        თუნდაც სიცოცხლის ფასად.
მე გულში შენი სახელი
შემომინახავს წმინდად,
შენს სიახლოვეს მამყოფა,
სხვა არაფერი მინდა.

გულს ნუ გაიტეხ

გულს ნუ გაიტეხ, ჩემო პატარავ,
ნუ იცრემლები ჩუმად, მალულად.
სიკეთე ქვეყნად ჯერ არ გამქრალა,
იმედიც ნისლით არ დაფარულა.
არ გაგიმართლდა? მერე რა მოხდა?
დაეცე სულით, არ გაქვს უფლება.
მთელი ცხოვრება ჯერ ხომ წინა გაქვს,
მწამს, ყველაფერი რიგზე იქნება.
ეს დროებითი სიმკაცრე ბედის,
პატარავ ჩემო, ნუ გეწყინება.
გწამდეს, ძვირფასო, ადრე თუ გვიან
შენი ვარსკვლავიც ამობრწყინდება.
ო, ნუ გაიტეხ ნორჩ გულს, პატარავ,
ჩემი სიტყვები ხომ გეყურება?
გულით ნანატრი ბედნიერება,
მერწმუნე, ერთხელ შენც გესტუმრება.
კარებს გაგიღებს, გულს გაგიხარებს,
ნეტარებისგან მთლად აგაღელვებს,,
თავის ჯადოსნურ სასმელს შეგასმევს
და მთელი გრძნობით შენც აგამღერებს.

ნინოს მონოლოგი

სპექტაკლიდან „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“

შენ არასოდეს გყვარებივარ, რა გვიან მივხვდი.
მაგ თვალთმაქცობას, მიკვირს, ადრე რომ ვერ მიგიხვდი.
შენ ახლა ჩემთვის სულ უცხო ხარ, ორგული ფლიდი,
ჰოი, მაცდურო, ჩემს მეგობრად შენ როგორ გთვლიდი?

გულით მიყვარდი და ყოველთვის მჯეროდა შენი,
მზად ვიყავ შენთვის შემეწირა სიცოცხლე ჩემი.
ო, შენ ეს გრძნობა უმოწყალოდ გათელე ჩემში,
გული კი არა, ქვა გდებია თურმე მაგ მკერდში.

იქნება ის თქვა, რომ მოგბეზრდა ჩემთან ცხოვრება?
არა! ნამდვილი სიყვარული როდი ბერდება.
შენ მხოლოდ ნიღაბს ატარებდი, გიყვარდი ვითომ,
და მეც რომ უცებ დაგიჯერე, ვეწამე მიტომ.

რად მომატყუე, გრძნობით რატომ მიწვდიდი ხელებს,
შენგან დაკოდილ ამ გულს ახლა რა გაამთელებს?
წადი, აღარ მსურს მე შენ გამო კვლავ ცრემლი ვღვარო,
უფრთხილდი, სადმე შენებრ ორგულს არ გადეყარო.

მე ჩემს შეცდომას სინანულით ვატარებ გულით,
ოდნავ სიწმინდე რომ ვერ ვპოვე შენს სიყვარულში.
ეს ბრძნულად თქმული გამამხნევებს მე წარამარა, —
ეჰ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც ვინ არ შემცდარა.

მაგრამ, ო, არა, დღეს რა ხდება? ნუთუ შენ ტირი,
შენდობას ითხოვ, მევედრები, აღარ მიყვირი?
ნუთუ შეგიპყრო სინანულის გრძნობამ სრულიად,
დარაბებს მიღმა ნუთუ მართლა გაზაფხულია?

არ დაგიმალავ, გულში ისევ სანთლად მინთიხარ,
ახლა არ ძალმიძს მიტევება, გტოვებ, მივდივარ.
და თუ ეგ ცრემლი გაზაფხულის მაცნეა მართლაც,
ამას შემდეგში მომავალი გვიჩვენებს, ვნახავთ.

***

მინდა, გულით შემიყვარო,
ჩემთან იყო მუდამ,
ამ უცოდველ გულის ნატვრას
ნუ გამიგებ ცუდად.

მინდა, მხარი დამიმშვენო,
თავი ვიგრძნო ლაღად,
შენი ნდობა მოვიპოვო
ერთგულების ფასად.

შენთან ერთად ვიოცნებო
და ვიფრინო მაღლა,
შენთან ერთად შევისწავლო
ბეწვის ხიდზე გავლა.

ჩემი ფიქრი, ჩემი დარდი
შენც რომ გაჩნდეს დარდად,
არაფერი არ გვახსოვდეს
ერთმანეთის გარდა.

მინდა, გულით შემიყვარო,
ერთად ვიყოთ მარად
და ამ ქვეყნად დაგვიფაროს
სიყვარულის ძალამ.

მადლობელი ვარ

მადლობელი ვარ, ჩემო კარგო, შენი სიკეთის,
შენი უსაზღვრო სიყვარულის და ერთგულების,
შენი ნუგეშის, თანადგომის, თბილი სიტყვების
და ამისათვის მსურს აგავსო ლოცვით ულევით.

სიცოცხლე შენი ყოფილიყოს ძალზე ლამაზი,
ლაღი, ხანგრძლივი და ძალები გფარავდეს ღმერთის,
აგევსოს სახლი სიხარულით, ხვავით, ბარაქით,
სხვა არაფერი მოგეკაროს სიკეთის მეტი.

გულით ნანატრი სურვილები აგიხდეს ბევრი,
მოგცილდეს მტერი, მოგიმრავლდეს ქვეყნად ერთგულნი.
ყველგან, ყოველთვის, ყველაფერში გწყალობდეს ბედი,
ბედნიერება იყოს მარად შენი მეგზური.

რაც სალოცავი არის წმინდა ქვეყნად მრავალი,
რაც წარმოთქმული არის ლოცვა ენით მავანით,
შენ შეგეწიოს, იმისათვის რომ ხარ მართალი,
მოსიყვარულე, გულმოწყალე და სულმაღალი.

მადლობელი ვარ, მადლობელი, შენი სიკეთის,
შენი უსაზღვრო სიყვარულის და ერთგულების,
შენი ნუგეშის, თანადგომის, თბილი სიტყვების
და ამისათვის მე აგავსე ლოცვით ულევით.

ჩემს მეუღლეს

სიხარულის სხივებს მაფრქვევ
ყოველ დილა-საღამოს,
შენი ქცევა ვაჟკაცური
გულს მედება მალამოდ.
ყველას მხოლოდ კარგს უსურვებ,
ვისაც კარებს შეუღებ,
ხარ ნამდვილად კარგი მამა
და ძვირფასი მეუღლე.
შენით ვცოცხლობ, შენით ვხარობ,
შენთან ლაღად ვნავარდობ.
ვიცი, გულით რომ გიყვარვარ,
ვიცი, რომ არ მღალატობ.
გულის სწორი შენისთანა
მართლაც სანატრელია,
რადგან ქვეყნად შენებრ კარგი
არც თუ ისე ბევრია.
სიხარულის სხივებს მაფრქვევ
ყოველ დილა-საღამოს,
შენი მზერა ვაჟკაცური
არ მომშლოდეს არასდროს.

თბილისი, 1980 წ.

მე ვერ გავიგე

წუთისოფელი რად არ ატკბობს მოკვდავს ბოლომდე,
თან რატომ ახლავს დღის სინათლეს წყვდიადი ღამის,
რატომ ამარცხებს, თუნდაც ზოგჯერ, კეთილს ბოროტი?
მე ვერ გავიგე, ვერ გავიგე მიზეზი ამის.

იქნება, რაღაც დავაშავეთ წინაშე უფლის,
იქნებ ცოდვები გვეკითხება დედის და მამის?
შვილი რომ მშობელს აწყენინებს უღირსი, ცუდი,
იქნებ ეს არის იდუმალი მიზეზი ამის?

იქნებ, გარჩევა ვერ შევძელით კარგის და ავის,
იქნებ, სიკეთეს ვერ ვუმღერეთ საკმაო ძალით,
რომ ვერ განვდევნეთ საბოლოოდ ძალები შავი,
რომ ვერ გავფანტეთ, ვერ გავფანტეთ ბურუსი ღამის?

წუთისოფელი რად არ ატკბობს მოკვდავს ბოლომდე,
თან რატომ ახლავს დღის სინათლეს წყვდიადი ღამის,
რატომ ამარცხებს, რატომ ჯაბნის კეთილს ბოროტი?
გამაგებინეთ, გევედრებით, მიზეზი ამის.

თბილისი, 1991 წ.

ვინ დამიბრუნებს

ვინ დამიბრუნებს სულის სითბოს, სიცოცხლის ხალისს,
ჩვეულ სიმშვიდეს, წარსულ დღეთა სანუკვარ წუთებს?
ვინ დამიბრუნებს დედის ალერსს, სიყვარულს მამის,
ჩემი ცხოვრების ბედნიერ წლებს, ვინ დამიბრუნებს?

ვინ დამიბრუნებს იმ ახდენილ ოცნებებს ცისფერს,
ჩემს სიყმაწვილეს, სიყმაწვილის ჯადოსნურ ჰანგებს?
ვინ დამიბრუნებს ჩემს სიყვარულს, სიყვარულს პირველს –
ბედნიერებით გამოწვეულ მშვენიერ განცდებს.

მე რა ხალისით მივიწევდი მაღლა და მაღლა,
რა შეუპოვრად მივაპობდი ზეცაში ღრუბლებს,
წლებმა დამქანცეს, შევიცვალე, რაღა ვარ ახლა,
გულჩათხრობილი რომ მივყვები თბილისის ქუჩებს.

ვერ დავიბრუნებ წარსულს, ვიცი, ვერ დავიბრუნებ,
ვით მოვიცილო, რა ვუღონო ნაღვლიან ფიქრებს.
ის დამრჩენია – იმ ტკბილ დღეებს, იმ წლებს, იმ წუთებს
ნატრული თვალით მოვეფერო ისევ და ისევ...

შემომაშველეთ

შემომაშველეთ – გადაკარგულს სადღაც, სივრცეში –
თუნდ ერთი სიტყვა თანაგრძნობის, შემომაშველეთ.
მე ისე მცივა, ისე მზარავს სულის სიღრმეში,
ტკივილი მახრჩობს, უნებლიე ცრემლი მასველებს.

შემომაშველეთ ოდნავ სითბო, რაღაც იმედი,
რომ დაღლილ გულმა ტანჯულ მფლობელს კიდევ გამიძლოს,
რომ თბილმა სიტყვამ, ჯადოსნურმა ძალამ იმედის
მე წამით მაინც ეს ტკივილი გადამავიწყოს.

შემომაშველეთ ღვთივნაკურთხი სხივი ნუგეშის,
რაც ყველა ტკივილს მეტ-ნაკლებად აქრობს, ანელებს,
მე ისე მცივა, ისე მტკივა სულის სიღრმეში,
გთხოვთ, ამ ტკივილის ეს წამალი შემომაშველეთ.

1991 წ.

ნუ მეფიცები

ნუ მეფიცები სიყვარულს, კარგო,
მე შენი ფიცის არ მჯერა, რა ვქნა.
ასე მგონია, არ ვიცი რატომ,
რომ მომატყუებ, მიმუხთლებ სადღაც.

მე ერთგულების ტრფიალით ვიწვი,
შევნატრი მხოლოდ სიყვარულს წმინდას,
ვერ ვიტან ღალატს, გატეხვას ფიცის
და მეგობარიც ასეთი მინდა.

ნუ მეფიცები, ნუ, ჩემო კარგო,
ვერ მოგენდობი, არ მჯერა, რა ვქნა,
რადგან მგონია, არ ვიცი რატომ,
რომ დაგიჯერო, ვინანებ სადღაც.

***

მე ჩემი გული მომქონდა შენთან,
არაფერს გთხოვდი მის საფასურად,
ის დრო, ის ჟამი მაღელვებს ახლაც,
როცა ვხარობდით ერთად, ბავშვურად.
            მე სიახლოვე მათრობდა შენი,
            ვით სურნელება მაისის ვარდის,
            შენი თვალები უძირო, მწველი,
            შენი ღიმილი საოცრად ნაზი.
ის სიტკბოება სადღაა ახლა,
ბედს გაუყრია დღეს ჩვენი გზები,
ჩემს გაცრუებულ იმედთან ერთად
შენს დაბრუნებას ამაოდ ველი.
            გადაეფარა ზეცას ღრუბელი,
            სევდით მავსებენ წვიმის წვეთები.
            ნუთუ, არასდროს არ დაბრუნდები?
            ნუთუ, არასდროს აღარ შევხვდებით?
მე ჩემი გული მომქონდა შენთან,
არაფერს გთხოვდი მის საფასურად.
ის დრო, ის ჟამი მათრთოლებს ახლაც,
ჩვენ რომ ვხარობდით ერთად, ბავშვურად.

მე ვერ ავიტან

მე ვერ ავიტან, ვერ ავიტან სიცივეს შენგან,
ეს ჩემთვის თითქმის იგივეა, მაფრქვევდე რისხვას.
შენ თუ გულს მატკენ, გაგეცლები, გავყვები ჩემს გზას
და არც სამართალს არ მოვითხოვ, იცოდე, სხვისგან.

მე ვერ ავიტან, ვერ ავიტან ერთ უკმეხ სიტყვას,
მაქვს სიამაყე, რასაც ვერვინ წამართმევს ქვეყნად.
შენს სიყვარულში ვატარებდი ღამეს თუ დილას,
მეც სიყვარული მსურს მივიღო პასუხად შენგან.

მე ვერ ავიტან, ვერ ავიტან, გახსოვდეს ჩემგან,
შენს ორგულობას, ჩემი ბედის უკუღმა ტრიალს.
თუმც შენთან ყოფნა მიხარია ყველაზე მეტად,
მე მაინც ჩემს თავს არ გავიხდი უმწეოს, ტიალს.

მე ვერ ავიტან, ვერ ავიტან სიცივეს შენგან,
ეს ჩემთვის თითქმის იგივეა, მაფრქვევდე რისხვას,
შენ თუ გულს მატკენ, გაგეცლები, გავყვები ჩემს გზას,
აღარც სამართალს არ მოვითხოვ არასდროს სხვისგან.

***

მე დავიწყება შენი,
კარგო, რამდენჯერ ვცადე.
გერიდებოდი ყველგან,
რომ არ მენახე სადმე.

რომ ერთი სიტყვაც შენზე
არ დამცდენოდა არსად,
ვებრძოდი ფიქრებს შენზე –
გულქვა მიჯნურის მსგავსად.

მაგრამ რაღაცა ძალა
სულ მიმტკიცებდა უხმოდ,
რომ დავიწყების ნაცვლად
მე შემიყვარდი უფრო.

მე განშორებას შენთან
ვეღარ გავუძლებ, მორჩა,
რადგან მაშინაც გნატრობ,
თვალით გიცქერი როცა.

ეს სასჯელია რაღაც,
თუ იდუმალი დარდი?
გამაგებინე მაინც,
ოცნება ხარ თუ ცხადი?

მე დავიწყება შენი
ვცადე და მოხდა ესღა:
ცდა დავიწყების შენი
თავდავიწყებად მექცა.

ნუ შეგაშინებს ჩემი სიცივე

ნუ შეგაშინებს ჩემი სიცივე,
ნუ შეგეცვლება ამით გუნება,
შეინარჩუნე სულის სიმშვიდე –
ჩვენს გრძნობას საფრთხე არ ემუქრება.

ეს გული ისევ შენ გეფერება
და არ აჰყვება რაღაც ცდუნებას,
შენი ტრფიალის ტკბილი შეგრძნება
ჩემში არასდროს არ გახუნდება.

მინდა ყოფელთვის გწამდეს, გჯეროდეს –
ქარს არ გავატან მე ჩემს მონაგარს,
შენ უნდა მენდო, მენდო ბოლომდე,
თუნდ სითბოს ისე ვერ გამოვხატავ.

ნუ შეგაშინებს ჩემი სიცივე,
ნუ შეგეცვლება ამით გუნება,
შეინარჩუნე სულის სიმშვიდე,
ჩემგან ღალატი არ გემუქრება.

სულ ჩემთან დარჩი, არსად წახვიდე

ჩემი ოცნების ტკბილო ზმანებავ,
გულმა სათუთად სად არ გატარა,
შენზე ფიქრებმა, შენზე დარდებმა
ლანდად მაქცია, ჩემო პატარავ.

მიკვირს, ძვირფასო, შენს ტრფიალებას
რა ჯადოსნური ძალა ჰქონია,
როცა შენ გხედავ, როცა შენთან ვარ,
მთელი სამყარო ჩემი მგონია.

შენზე ვოცნებობ, შენზე ვლოცულობ,
შენ დაგტრიალებს ჩემი ფიქრები.
მთელ ჩემს სიცოცხლეს შენ განაცვალებ,
თუ, სანატრელო, ჩემი იქნები.

გწამდეს, ძვირფასო, რომ სამუდამოდ
ხატება შენი გულში ჩავიდე.
თუ გსურს მაცოცხლო, მხოლოდ ამას გთხოვ,
სულ ჩემთან დარჩი, არსად წახვიდე.

***

საით მივყავარ ჩემს ბედისწერას,
კვლავ რა სიახლეს მიმზადებს, ნეტავ,
გაჩენის დღიდან რომ მექიშპება,
რას მემართლება, რა უნდა ჩემგან?
მე თუმც ბუნებით არ ვარ ბოროტი
და გზას მივყვები უცოდველს, მართალს,
ბედი კი მაინც, როგორც რობოტი,
ჩემი ცხოვრების საჭეს თვით მართავს.
რაც კი გულს უნდა, როდი სრულდება,
სადაც არ მინდა, იქ გზა ხსნილია,
ისე დამქანცა მისმა ცდუნებამ,
როგორ მოვიქცე, ვერ გამიგია.
ბედის სიმკაცრით შეშინებული
არსად დავეცე, ვფიქრობ ყოველთვის.
თუმცა სიკეთით ვარ ანთებული,
მაინც არ ვიცი, ხვალ რა მომელის.
მორჩილი მგზავრი ჩემს ბედს მივყვები
აუხდენელი ნატვრით, ოცნებით,
უფლის წინაშე უხმო ვედრებით,
მოკრძალებული, ჩუმი ლოცვებით.

თბილისი, 1998 წ.

***

რაც უნდა მოხდეს ჩვენ შორის წყენა,
მატკინოს გული ქმედებამ შენმა,
ჩემს გულში მაინც ვერ წაშლი, ვერა,
შენს სიყვარულს და შენდამი რწმენას.

მენატრები

მე შენ მოგიძღვნი მთელ ჩემს სამყაროს
და მხოლოდ შენი ხიბლით დავტკბები,
სურნელმა შენმა როგორ დამათრო,
ასე ძალიან რომ მენატრები.

შენს მოლოდინში ვათენ-ვაღამებ
მე, შენზე ფიქრით ლანდად ქცეული,
აღარ დავეძებ ქვეყნად არაფერს,
ოღონდ გიხილო ჩემი რჩეული.

შენ მე მანიჭებ სიხარულს, შვებას,
ჩემს ოცნებაში მხოლოდ ერთი ხარ,
რადგან სამყაროს მე შენით ვხედავ,
რადგან, ძვირფასო, თავს მირჩევნიხარ.

მე შენ მოგიძღვნი მთელ ჩემს სიცოცხლეს
და ფანტელივით შენთვის დავდნები,
როგორ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლევ,
ასე ძალიან რომ მენატრები.

რამ დამავიწყოს

რამ დამავიწყოს ის სიყვარული,
დღესაც რომ გულში ცეცხლად ანთია,
შენი მშვენება – ენით ართქმული,
შენი თვალების ფერი, ნათია.

ვერ ავიხდინე გულის წადილი,
ჩანს, უბედობამ ხელი დამრია,
ვერ გაგრძნობინე სულის ძახილით,
რომ შენ მიყვარდი მხოლოდ, ნათია.

მე შენი ტრფობის ალში ვიწვოდი,
მაგრამ ამის თქმა გავბედე განა?
ჩემი რჩეული სხვას რომ მისთხოვდი,
ამაზე ფიქრიც გულს მიკლავს, მზარავს.

გაცრუებულო ჩემო იმედო,
აუხდენელო ტკბილო ოცნებავ,
ახლა რაღა ვქნა ან რა ვიღონო,
რაღაა ქვეყნად ჩემი ცხოვრება?

რა დამავიწყებს მე შენს სიყვარულს,
ვინ მომიშუშებს გულის იარას?
ვით შევეგუო იმ აზრს მტკივნეულს,
რომ სხვისი გახდი, ჩემი კი არა?

***

მითხარი, ასე რამ დაგაღონა,
როდის გამოხვალ შენ ამ ყოფიდან.
აღარ უყვარხარ? ირწმუნო უნდა,
რომ შენი ღირსი ის არ ყოფილა.

გახედე, რარიგ ხარობს ბუნება,
რა ნაირფერად დახატულია.
რა დროს ფიქრია, რა დროს დარდია,
გაზაფხულია, გაზაფხულია.

ყური დაუგდე ბულბულთ გალობას,
კუდმაკრატელა მერცხლების ჭიკჭიკს,
დარდით და ფიქრით რაღა გამოვა,
ხომ ხედავ, წლები რა სწრაფად მიჰქრის.

ულირსის გამო თავს რად იტანჯავ,
რატომ მიჰყვები სევდას კვალდაკვალ,
შენც დაივიწყე – ვინც დაგივიწყა,
ის შეიყვარე – ვისაც უყვარხარ.

ნუ ჩაურაზავ კარს შენს მომავალს,
ის შენ სიკეთეს მოგიტანს რამდენს,
იმედით შეხვდი მზეს ამომავალს
და მოიცილებ გულიდან ნაღველს.

რატომ დამტოვე მარტო?

აღარც ცის ნამი მამშვიდებს,
აღარც მზის სხივი მათბობს,
რაღაა ჩემი სიცოცხლე,
რაც შენ დამტოვე მარტო.

შენი სახელი ჩემს გულში
ჩაუქრობ ლამპრად ენთო,
მიყვარდი და შენს სიყვარულს,
რა ვქნა, ვერაფრით ვერ ვთმობ.

მე უშენობამ დამტანჯა,
გული არ ხარობს არსად,
რას არ დავთმობდი ამ ქვეყნად
კვლავ შენთან ყოფნის ფასად.

ნეტავ, ის მაინც იცოდე,
რა უსაშველოდ გნატრობ.
რად მომიწამლე სიცოცხლე,
რატომ დამტოვე მარტო?

1991 წ.

***

რა არ ვიღონე, რა არ ვეცადე,
განგებამ მაინც დამტოვა ცალად.
შენ არ დაღონდე, ჩემო სინათლევ,
ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით მარად.

1991 წ.

ღირს კი სიცოცხლე უსიყვარულოდ?

მეუბნებიან: — ამდენს ნუ დარდობ,
რას იზამ, უნდა გამაგრდე მაინც.
ღირს კი სიცოცხლე უსიყვარულოდ,
ღირს კი უშენოდ სიცოცხლე მაინც?

არ ძალმიძს, რა ვქნა, რომ დაგივიწყო,
რომც გავიცინო, გული ხომ ტირის.
მე დავემსგავსე განმარტოებულ,
ობლად ამოსულ მოწყენილ ტირიფს.

მე უშენობამ მწირად მაქცია,
გულნატკენობის დამასვა დაღი.
მე უშენობამ ისე გამწირა,
მთლად შემაძულა სიცოცხლე ლაღი.

გაწამებული დარდით, ფიქრებით,
დავიარები ქუჩაში კენტად
და რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები,
რომ მყვარებიხარ ყველაზე მეტად.

ფრთამოტეხილი, ნაიარევი
მაინც დაგეძებ, დაგეძებ ყველგან.
რად ჩამიტოვე გულში დარდები,
რატომ წახვედი, ძვირფასო, ჩემგან?

იქნება, იქ ხარ შენ ბედნიერი,
იმქვეყნიური გიჯობს ცხოვრება?
ხომ გქონდა სული შენ მშვენიერი,
სიკეთე იყო შენი მოძღვრება.

იქნება, გესმის ჩემი ქვითინი,
ჩემს დამშვიდებას იქნებ ეცდები,
იქნება, დგახარ აქვე, ვინ იცის,
და იქნებ უხმოდ მეალერსები.

მეუბნებიან: — კმარა, ნუ დარდობ.
მეუბნებიან: — გამაგრდი მაინც.
ღირს კი სიცოცხლე უსიყვარულოდ,
ღირს კი უშენოდ სიცოცხლე მაინც?

1991 წ.

***

წუხელ სიზმარში გნახე,
გადამავიწყდა დარდი,
ვიხილე შენი სახე
გაღიმებული, ლაღი.

თავს მევლებოდი ისე,
ვით სიცოცხლეში მაშინ,
ჩემთვის დაკრეფილ იებს
ნაზად მაბნევდი თმაში.

გადამავიწყდა სევდა,
გადამავიწყდა დარდი,
რადგან ვიყავით ერთად,
რადგან მეგონა ცხადი.

გამომეღვიძა. მივხვდი,
ეს არ ყოფილა ცხადი,
რომ აღარ იყავ ჩემთან,
ცრემლით ამევსო თვალი.

ისევ შემიპყრო სევდამ,
ისევ ავივსე დარდით.
რატომ დამცინა ბედმა,
რატომ გამწირა მაინც?

წუხელ სიზმარში გნახე,
გადამავიწყდა დარდი,
ვიხილე შენი სახე,
მეგონა, იყო ცხადი.

1991 წ.

ო, უშენობა რარიგ ძნელია

შენთან ტკივილიც არ მინაღვლია,
შენით ვხარობდი ქვეყნად.
აღარაფერი არ მიხარია,
შენ რომ აღარ ხარ ჩემთან.

შენ იყავ ჩემი სულის მშვენება,
სინათლე იმ ტკბილ დღეთა.
ახლა უშენოდ რა მეშველება,
შენ რომ აღარ ხარ ჩემთან?

სევდა ოდნავ თუ გამინელდება,
სიზმარში როცა გხედავ,
გული საგულეს არ მიჩერდება,
შენ რომ აღარ ხარ ჩემთან.

ვიცი, შეგხვდები, ვიცი, შეგხვდები,
ის კი არ ვიცი, როდის.
მე ცალად ყოფნა რომ არ შემშვენის,
ცრემლები მახრჩობს გლოვის.

შენთან ტკივილიც არ მინაღვლია,
შენით ვხარობდი ქვეყნად.
აღარაფერი არ მიხარია,
შენ რომ აღარ ხარ ჩემთან.

ო, უშენობა რარიგ ძნელია,
მათოვს და მაწვიმს თქეშად...
ჩემთვის სიცოცხლეც არაფერია,
შენ რომ აღარ ხარ ჩემთან.

1991 წ.

ღამეა

ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა,
კვლავ შეუმჩნევლად ჩამოწვა ღამე,
ცად მოციმციმე ვარსკვლავთა შორის
ამოანათა ამაყად მთვარემ.

გარინდებულა ფიქრებში ზეცა,
ძილს მისცემია მიდამო წყნარი.
მხოლოდ თავისთვის, დროგამოშვებით
რაღაცას ჩუმად ბუტბუტებს მტკვარი.

შენზე ფიქრებში ვათენებ ისევ
მე, ჩემს სარკმელთან მდუმარედ მდგარი.
უძილობისგან საოცრად დაღლილს
მეალერსება ნიავი ღამის.

ჩემს გულში ახლა ღამეა თითქოს,
ველარ მათრთოლებს ცისკრის ზარები.
მესალბუნება სადღაც, შორიდან,
ჩვენი წარსული ტკბილი ზმანებით.

ჩემს გულში ახლა თითქოს ღამეა,
დაბინდულია ჩემი აზრებიც.
მომნატრებია თურმე ძალიან
შენი სითბო და შენი ალერსი.

გაოგნებული შევყურებ ზეცას,
დრო შენს ლოდინში რა ნელა გადის,
ისევ დამნათის მთვარე ამაყად,
ისევ რაღაცას ბუტბუტებს მტკვარი.

უძილობისგან დაქანცულს, დაღლილს
ჩამეძინება, ალბათ, როგორმე,
მაგრამ იცოდე, სიზმარშიც, ცხადშიც
შენზე ვიფიქრებ მაინც ბოლომდე.

ახალგაზრდობა

ახალგაზრდობა გაქრა, წავიდა,
ვით საოცნებო სიზმარი ღამის.
მაინც დამტოვა, მაინც წავიდა,
გული მიკვდება, ავტირდე ლამის.

არ შეისმინა ჩემი ვედრება,
არ მომანიჭა სიმშვიდე სულის,
აღარ ისურვა ჩემთან დარჩენა,
გაუჩინარდა, მატკინა გული.

როგორ ვხარობდი, როგორ ვლაღობდი,
რა უდარდელი ვიყავი მაშინ.
ახლა რაღა ვარ, მგონი, დავბერდი,
შემომერია ჭაღარა თმაში.

მაგრამ რას ვამბობ? ვაი, სირცხვილო,
რას იფიქრებენ ჩემი ტოლები?
ასე ყოფილა, უნდა ვითმინოთ,
ბუნებას ხომ ვერ შევებრძოლებით.

თუმცა დამტოვა, თუმცა წავიდა,
მის აჩრდილს მაინც არ დავეხსნები,
გული მექნება კვლავ ახალგაზრდა,
სულით არასდროს არ დავეცემი.

ახალგაზრდობა გაქრა, წავიდა,
ვით საოცნებო სიზმარი ღამის.
მაინც დამტოვა, მაინც წავიდა,
მაინც გაფრინდა ცხადად თუ მალვით.

***

ვით წყალი მწყურვალს, მაშვრალს,
ისე სჭირდები სულს,
შენ როცა ჩემთან არ ხარ,
სიცოცხლეც აღარ მსურს.

უშენოდ ჩემი ყოფა
მხოლოდ სატანჯველს ჰგავს,
გული შენს სახელს მოსთქვამს,
არავინ უნდა სხვა.

მითხარი მაინც, სად ხარ,
საით გეძებო, სად?
როგორ მოვაგნო შენს კვალს,
რომ შენ გიხილო კვლავ.

იცოდე, მე შენ გამო
რას არ ჩავიდენ, რას.
ალბათ შხამსაც კი დავლევ,
მეტი რა გითხრა სხვა?

თუნდ გადავლახავ ცხრა მთას
და გადავცურავ ზღვას,
რაგინდ ვეწამო, შენს თავს
მე არ დავუთმობ სხვას.

სულ ნაფლეთებად ვაქცევ
ბურუსს აზიდულს ცად
და ისე მოვფენ ნათელს
შენკენ მომავალ გზას.

მაინც გიპოვნი სადმე,
მაინც შეგხვდები კვლავ
და გეტყვი, თუნდაც ასჯერ,
რომ მირჩევნიხარ თავს.

ვით წყალი მწყურვალს, მაშვრალს,
ისე სჭირდები სულს.
მიყვარხარ, გეძებ, სად ხარ?
მე შენთან ყოფნა მსურს.

რა ხანია

რა ხანია თავი ჩემი მოგიძღვენი,
რა ხანია გული შენთვის ძგერს,
მაგრამ დღემდე ერთხელაც კი ვერ ვიგრძენი,
ოდნავ მაინც თუ გიყვარვარ შენც.

რად გამირბი, მშვენიერო დედოფალო,
მე ხომ შენგან არ მოვითხოვ ბევრს?
მინდა მხოლოდ, რომ ღიმილით გამახარო,
გამითენო ბედნიერი დღე.

ჩემი გულის გასახარად ესეც კმარა,
ესეც ტკივილს გამიყუჩებს ძველს,
შენს სიყვარულს – ასე ძლიერს, ასე ლამაზს,
შევავედრებ ამომავალ მზეს.

რა ხანია შენით ვტკბები, შენით ვხარობ,
ჩანგი ჩემი მხოლოდ შენთვის ჟღერს.
გეფიცები, ჩემი სულის დედოფალო,
რომ ცოცხალი მე შენით ვარ დღეს.

ნუ დამაჯერებ

ნუ დამაჯერებ, გულს ნუ მატკენ, მიხსენ როგორმე,
შენს ორგულობას, გევედრები, ნუ დამაჯერებ.
მე ის ვირწმუნე, რაც შემფიცე, გესმის, ბოლომდე,
ღალატი შენი წელში გამტეხს და დამაბერებს.

ნუ დამაჯერებ უიღბლობას იმ ნეტარ დღეთა,
რომ სიყვარული ჩვენი სადღაც გაქრა, წავიდა.
ნუ დამაჯერებ, რომ მიდიხარ, მიდიხარ ჩემგან,
რომ სხვა ცხოვრება გსურს დაიწყო ისევ თავიდან.

ნუ დამაჯერებ, რომ სიცოცხლე არ ღირდა ქვეყნად,
ამ წყეულ ფიქრებს ნუ დამასობ გულზე ისრებად.
ნუ დამაჯერებ, რომ შენ უკვე აღარ ხარ ჩემთან,
იმედმოცელილს ნუ მამღერებ გედის სიმღერას.

შემოდგომის მზე

იდუმალმა წინათგრძნობამ
ჩამახედა სარკეში,
შემოდგომა დაგიდგაო,
მომახალა სახეში.

შევცბი, ამას არ ველოდი,
მეცხრე ციდან დავეშვი,
მომავალი ზამთრის შიშმა
ამიცრემლა თვალები.

მხოლოდ გული, ისევ გული
აწრიალდა უბეში.
ძველებურად გამამხნევა
და ამავსო ნუგეშით.

ზამთრის სუსხი რად გაშინებს,
რად დაღონდი ასეო,
მთავარია, რომ ჯერ კიდევ
სიცოცხლით ხარ სავსეო.

გაიხარე, მოილხინე
დღევანდელი დღითაო,
შემოდგომის მზეც გაგათბობს,
კიდევ დიდი ხნითაო.

დავიჯერე, სხვა რა მექნა,
აღარ ვნაღვლობ, აღარა,
შემოდგომის მზესთან დავრჩი,
ჩემი გულის ამარა.

***

ავაგე ფიქრის გორა,
ბზარი გამიჩნდა ხმაში.
ნუთუ შენ აღარ მოხვალ,
ნუთუ გამცვალე სხვაში?
მე უშენობა მომკლავს,
შენზე ფიქრი და დარდი.
შენს იქით გზა არ მოჩანს,
ბინდი ეშვება ღამის.
სევდა, ტკივილი, წყენა
ერთად ირევა ჩემში,
ვგრძნობ, სიყვარულის რწმენა
როგორ მიქრება მკერდში.
დღეები დღეებს მისდევს,
ტკივილს ტკივილი ერთვის.
მე კი ისევ და ისევ
ჩუმად ვლოცულობ შენთვის.
ვიღვიძებ ფიქრთან ერთად,
ბზარი გამიჩნდა ხმაში,
თუ აღარ მოხვალ ჩემთან,
რა მეშველება მაშინ?

ყვავილების ქვეყანა

ყვავილების ქვეყანა
თრთოლვით შემოვიარე,
ხელში ვარდი მეკავა,
არად ვთვლიდი იარებს.
            გული ერთს უმღეროდა,
            მისთვის ავახმიანე,
            მოვხიბლავდი, მეგონა,
            მაგრამ დავაგვიანე.
თურმე სულ სხვას გაეღო,
მისი გულის კარები.
ნეტავ ეს არ გამეგო,
მომეძალა დარდები.
            ეს მუხთალი სოფელი
            ვისთვის როგორ ტრიალებს,
            როცა სულ არ მოელი,
            მაშინ აგაწრიალებს.
ყვავილების ქვეყანა
რისთვის შემოვიარე,
თუკი გულის რჩეულთან
ასე დავაგვიანე?

ქარს გავატანე, აღარ მჭირდები

მე დავიღალე ბედის დაცინვით,
თავს ნუ იმართლებ, ნულარ ირჯები.
ყველა ტკივილი – შენგან განცდილი –
ქარს გავატანე, აღარ მჭირდები.

რა საჭიროა ყალბი ვედრება,
ვერ დამიბრუნებ მაინც ვერაფრით,
ბზარი რომ ჩნდება, ველარ მთელდება,
გვიანღა არის თითზე კბენანი.

მე დავიღალე ბედის დაცინვით,
კმარა ტყუილი, ნულარ ირჯები!
ყველა ტკივილი – შენგან განცდილი –
ქარს გავატანე, აღარ მჭირდები.

***

ასე კარგი, ნეტავ, რამ გაგაჩინა?
გული ვისზეც ოცნებობდა, ისა ხარ.
შენთვის, ალბათ, სიცოცხლესაც გავწირავ,
ისე ძლიერ, ისე ძლიერ მიყვარხარ.

***

შენდამი გრძნობა, გეტყვი თამამად,
ისე თბილი და ისე ნაზია,
ვიცი, დარჩები ჩემში მარადჟამ
ლამაზ ოცნებად და ფანტაზიად.

ჩემთან დაბრუნდი, გენაცვალები

შენთვის დავკრიფე თეთრი ვარდები,
შენ კი უეცრად სადღაც წახვედი.
რომ ჩამიტოვე გულში დარდები,
ნუთუ, ძვირფასო, არ გებრალები?

ჩემი ფიქრი და ჩემი ოცნება
ისევ და ისევ შენკენ მოგორავს.
ბედმა მაქცია შენზე მლოცველად,
რად მიმატოვე, ჩემო გოგონავ?

თეთრი ვარდები, მერე რამდენი,
შენთვის დავკრიფე, რად მემალები?
ჩემო გოგონა, კმარა ამდენი –
ჩემთან დაბრუნდი, გენაცვალები.

ჯორი

შენ ჩემზე ფიქრობ? – არა მგონია.
მე შენ მიყვარხარ? რატომ ჰგონიათ?
ეს, ჩემო კარგო, მხოლოდ ჭორია,
ბოროტი ენის მონაგონია.

***

გადაიქროლებს ქარი თავნება
და გაზაფხული ისევ გვეწვევა.
ბულბული ვარდით კვლავაც დატკბება,
მე კი უშენოდ რა მეშველება?

***

ჩემს ოცნებიდან ვერ ამოგშალე,
შენ კი, ძვირფასო, ვერც კი გრძნობ ალბათ,
რომ ჩემი სულის შენ ხარ სავანე
და სიყვარულის დიადი აღქმა.

მე შენი ტრფობის ტკბილმა ზმანებამ
მთელი არსებით შემიპყრო თითქმის.
ვერ გამიგია, რა მემართება,
რომ მხოლოდ შენთან, შენთან ვარ ფიქრით.

ჩემს ოცნებიდან ვერ ამოგშალე,
შენ კი, ძვირფასო, რად ვერ გრძნობ ამას,
რომ ჩემი სულის შენ ხარ სავანე
და სიყვარულის ზღაპრული აღქმა?

***

შენ ჩემი გული სევდით დანამე
და ნაღვლიანი მატარე ყველგან.
სიყვარულისთვის ასე მაწამე,
ღალატისათვის რას იზამ ნეტავ?

***

მე შენს გულამდე გზა ვერ გავკვალე,
იმედის სხივი დამიხშე ყველგან.
ასე სასტიკად რატომ მაწვალებ,
რომ არ მიკარებ, ვინ გიყვარს ნეტავ?

***

მთელი გულით მისთვის ვმღერი,
ამის ღირსი ვინც არის.
შენ მიყვარხარ, შენთვის ვმღერი,
რად ვერ გამოიცანი?

***

ჩემდამი გრძნობა თუ გაგინელდა,
ნუ შეეცდები ამის დაფარვას.
მე შენს სიცივეს ვიგრძნობ ისედაც,
ვიგრძნობ, თუმც წყენას ვეღარ დავმალავ.

დე, განშორების დაჰკრან ზარებმა,
დე, მოხდეს ის, რაც მოსახდენია,
გული რომ გულთან ვეღარ დადგება,
თვალები თვალებს რაღას ეტყვიან?

ჩემდამი გრძნობა თუ გაგინელდა,
ნუ შემიბრალებ, ნუღარ დამალავ.
მე შენს სიცივეს ვიგრძნობ ისედაც,
შენს ცხოვრებიდან წავალ ლამაზად.

სამართლის ეტლი

ამბობენ, ღმერთი სამართლის ეტლით
ყოველ კაცს უკან დაჰყვება ნელა
და რაღაც ძალით, ადრე თუ გვიან,
თავის საკადრისს მიუზღავს ყველას.

საოცარია, ბოროტი კაცი
არად დაგიდევთ ამ ბრძნულად ნათქვამს,
ყველა რომ მხოლოდ სიკეთეს თესდეს,
ის ბოროტების საჭეს კვლავ მართავს.

მართავს და სულაც არ უფიქრდება,
ამას რას ჩადის, რა გზას მიჰყვება.
არ უფიქრდება, რომ ამ საქციელს
ბოლოს ინანებს, გვიან იქნება.

ჰოი, ცოდვილთა უგნურო მოდგმავ,
რას გსურს ეწიო ამ ქვეყნად, ნეტავ?
იქნება გჯერა, რომ ბოროტება
შენ აგამაღლებს ყველაზე მეტად?

არა! ვერ დასძლევ სიკეთეს, ვერა,
შენ – სულმდაბალი, უძლური, გლახა.
გახსოვდეს, შენვე მოგიტანს ზიანს
ყოველი შენი ბოროტი ზრახვა.

მაშ, შენც სიკეთეს წაავლე ხელი,
სიკეთე თესე, სადაც კი წახვალ,
რომ არ გაგიწყრეს სამართლის ეტლი,
რომ არ დაგსაჯოს განგების ძალამ!

რომ არ გაგიწყრეს სამართლის ეტლი
და არ დაგსაჯოს განგების ძალამ.

მჯერა, ოდესღაც გამიმართლდება

ნათქვამი არის, ადამიანი
იმედით ცოცხლობს, ხარობს, მაღლდება.
მაინც, რა დიდი ნეტარებაა,
კაცს რომ ნამდვილად გაგიმართლდება.

კაცს რომ ოცნება გექცევა ცხადად,
აგისრულდება, რაც გინატრია,
ბეწვის ხიდზეც რომ გაივლი ლაღად,
კარგ ბედ-იღბალზე რომ დაგნატრიან.

მეც დღეს იმედის სხივით გამთბარი
ჩემი ცხოვრების მივყვები შარას.
ის ნეტარება, ნეტავ, სად არის,
საით ვეძიო, ვინ მეტყვის მართალს?

ვინ დამიდგება კეთილ ფერიად,
ვინ გადამიქცევს ოცნებას ცხადად,
ბედნიერების მოსაპოვებლად
ვინ მომანიჭებს ჯადოსნურ ძალას?

ვარდს შევეკითხე ბაღში ამ დილას:
— გამიმართლდება ოდესმე განა?
ვარდმა სურნელი შემომაფრქვია,
დამაიმედა ჩურჩულით, ნაზად.

ჩიტებს შევძახე ალერსით, ჩუმად:
— ოცნება ჩემი ახდება განა?
ჩიტებმა ლაღად შეჰკრეს კამარა,
ჭიკჭიკით მითხრეს: — ახდება, ნახავ.

ავაპყარ ხელი ზეცისკენ, მაღლა,
ო, ღმერთო, ნუთუ ეს გამართლდება?
იმედმა ჩუმად კვლავ გამამხნევა, —
მჯერა, ოდესღაც გამიმართლდება.

1978 წ.

დარიგება

ბედნიერი ხარ შენ, მეგობარო,
რომ დაიბადე ამ ეპოქაში
და ამიტომაც უნდა ეცადო,
ბევრს კარგს ეწიო შენს ცხოვრებაში.

შენ სხვისი ცუდი არ გაგეხარდეს,
არ მიაყენო სხვას შენ ზიანი,
მთელი შეგნებით, გულით ეცადე
იყო ნამდვილი ადამიანი.

მაშინ იქნები კარგი ყველასთვის,
თუ კეთილ მიზნებს შენ დაისახავ,
კარგი საქმისთვის, კარგი ქცევისთვის
ყველა შეგაქებს, არვინ დაგძრახავს.

დიდი ღირსება იქნება შენთვის,
დაიმსახურო ხალხის მადლობა.
გახსოვდეს ეს, რომ ყველგან, ყოველთვის
შენ აგამაღლებს შენი ზრდილობა.

გვერდს ნუ აუხვევ ჩემს დარიგებას: —
გწამდეს მოყვარე და გძულდეს მტერი,
შენს კარგ კაცობას, შენს დიდ ღირსებას
სხვაც დააფასებს და შენი ერიც.

არ დაგავიწყდეს, ყოველთვის გწამდეს: —
კარგს ყველა გულით შეგიერთდება.
ხალხს შენ უყვარდე, ხალხს შენი სწამდეს,
აი, ეს არის ბედნიერება.

თბილისი, 1978 წ.

ბედის წიგნაკი

ბედის წიგნაკში ასე სწერია:
— ბედი თუ გწყალობს, მიაღწევ წადილს,
თუ დიდკაცობა არ გიწერია,
ვერას გახდები დღედაღამ სწავლით.
ბედის წიგნაკში ასე სწერია:
— რაგინდ გადაწყდე ჯაფისგან წელში,
თუ გამდიდრება არ გიწერია,
ოქროც კი რკინად გექცევა ხელში.
ბედის წიგნაკში ასე სწერია,
ამაში შენ არ მიგიძღვის ბრალი:
— თუ სიყვარული არ გიწერია,
ვერ შეგიყვარებს ვერავინ ძალით.
ბედის წიგნაკში ისიც სწერია:
— სულ სხვა რამ არის ძალა სიკეთის.
თუ სიკეთისთვის შენც გიმღერია,
უფლისგან შველის გქონდეს იმედი.
მაგრამ თუ გულში ზრახვა გედება,
სხვას რამ წაგლიჯო, გახადო შენი,
რაც არ გერგება, არ შეგერგება —
ეს კი კანონი ყოფილა ბედის.

***

თუ შენ ნამდვილად გაქვს მისწრაფება –
ადამიანი გერქვას სახელად,
არ დაიშურებ ძალ-ღონეს შენსას
ქვეყნად სიკეთის გადასარჩენად.

თუ წმინდა გრძნობა კაცთმოყვარების
შენს გულში ოდნავ მაინც ანთია,
არ მიითვისებ არაფერს სხვისას,
რომ შვებით შეხვდე ყოველ განთიადს.

პატიოსნება – მადლი სულისა
გახლდეს მეგზურად, თუ გსურს ძალიან,
მაშინ ირწმუნე, რომ ხარ სპეტაკი
და ბოროტების არა გაცხია.

ახალგაზრდობა

ახალგაზრდებო, ვაშა, დიდება
თქვენს ძლიერ ძალას და შემართებას!
როგორ გვახარებს, როგორ გვჭირდება
თქვენი სიმტკიცე და გამარჯვება.
            დღეს თქვენ ხართ ტკბილი ოცნება ჩვენი
            და საიმედო ძალა შემცვლელი.
            გახსოვდეთ, თქვენგან ჩვენ ამას ველით,
            იყოთ სიკეთის ყველგან მთესველნი.
გასწით, არ შედრკეთ, ფეხი აუწყვეთ
ჩვენი ცხოვრების ძლიერ დინებას
და მთელ მსოფლიოს საქმით აუწყეთ
თქვენი სიმტკიცე, თქვენი დიდება.
            უფროსებს მხოლოდ ის დაგვრჩენია,
            გზა დავულოცოთ თქვენს დიდ ძალასა.
            ხომ იცით, მამულს ის ურჩევნია,
            შვილი რომ სჯობდეს თავის მამასა.
მაშ, ჩვენო კარგო ახალგაზრდებო,
სულ გამარჯვებით, ხალისით გევლოთ,
ჩვენი ცხოვრების ახალბედებო,
მხოლოდ სიკეთის კარი გაგეღოთ.

ნუ შეეხებით

გთხოვთ, ეროვნებას ნუ შეეხებით,
თუ წააწყდებით კაცს ულირსს, საჯაყს.
გახსოვდეთ ეს, რომ თქმა აღარ უნდა,
ყველა ერშია კარგიც და გლახაც.

გაკიცხოთ ერი ულირსის გამო,
გწამდეთ, ეს აზრი არასწორია.
ადამიანი სპეტაკი, კარგი
განა ყველა ერს არა ჰყოლია?

ყველა, ვინც კარგი მოქალაქეა,
კაცობრიობის დიდი განძია
და განურჩევლად ეროვნებისა
იგი ყოველთვის ყველგან კარგია.

ერის გარჩევა არ შეიძლება,
უნდა გვიყვარდეს ყველა ნაცია,
ამას გვასწავლის ჩვენი ცხოვრება
და ჩვენი სულის კონსტიტუცია.

მოხუც მშობელს ნუ დატოვებ მარტო

მოხუც მშობელს ნუ დატოვებ მარტო,
მას სიბერით გული ისეც სტკივა,
მოხუცს მხოლოდ შვილის ხილვა ათბობს,
შვილის გვერდით ისე აღარ სცივა.

ცხოვრებაში სულ გახსოვდეს ერთი,
მშობლის მიმართ იყავ ძალზე თბილი.
მისხალ-მისხალ გადაგიხდის ღმერთი,
როგორც მშობელს დააფასებ შვილი.

მოხუც მშობელს ნუ დატოვებ მარტო,
ვალი შენი მოიხადე წმინდად,
რომ განგებამ არ დაგტოვოს მარტო
და არ იყოს სინანული გვიან.

რად აჰყოლიხარ?

რად აჰყოლიხარ რაღაც ცდუნებას,
რად ფორიაქობ, თავს ვერ გრძნობ მშვიდად?
სად გაქრა შენი ლაღი ბუნება,
რაც გამშვენებდა გაჩენის დღიდან?
რამ დაგიბინდა საღი გონება,
რად დაგეუფლა ფიქრები ავი?
ისე იქცევი, კაცს ეგონება,
დაგიკარგია ცხოვრების აზრი.
ასე ამაოდ ნუ ტანჯავ შენს თავს,
ნუ იხარჯები ჭიდილში ფიქრთან,
სხვა გზას მიმართე, მოუხმე რწმენას
და შენი ტანჯვაც არ გასტანს დიდხანს.
სძლიე ავ ფიქრებს, სძლიე სატანას
და საშინელი გაფანტე ნისლი.
გახსოვდეს მუდამ, მუდამ, სადაც ხარ,
რომ შენ ნამდვილად ხარ ღმერთის შვილი.
რომ შენ ნამდვილად ხარ ღმერთის შვილი
და ბოროტება დათრგუნო უნდა.
სძლიე, სიკეთის გზას გაჰყევ, მიდი,
და ბედნიერი იქნები მუდამ.

თბილისი, 1992 წ.

ნუ შეეცდები

ნუ შეეცდები ნურასდროს
მოყვასის გულის ტკენასა,
ღიად რომც არა გაკადროს,
გულში ჩაიდებს წყენასა.

გახსოვდეს, უნდა ერიდო
მწარე სიტყვების სროლასა.
თავშეკავება გერჩივნოს,
ზედმეტი მტრების ყოლასა.

***

ის, ვინც სიკეთეს უმღერის
და ებრძვის ბოროტებასა,
მიჰყვება დიდი რუსთველის
მართლაც დიდებულ მცნებასა.

ადვილი საქმე როდია,
ჰპოვებდე ხალხის ნდობასა,
სიკეთით ტკბობა სჯობია,
ქეიფში ღვინით თრობასა.

სიკეთის გულით
უნდა გჯეროდეს

გული გატკინეს? არაფერია,
მიჰყევ დინებას გზის.
თუმცა ღალატი ძალზე ძნელია,
იმედი გქონდეს ღვთის.

ვინც შენ დაგცინა, ვინც შენ გაგწირა,
მასზე ფიქრიც არ ღირს.
განგება მასაც ისე გაწირავს,
ღალატს დაუსვამს ძვირს.

რწმენით აღივსე და დაელოდე
ამონათებას მზის.
სიკეთის გულით უნდა გჯეროდეს,
ეს მოძღვრებაა ღვთის.

ერთგულება

ერთგულება, ვფიქრობ ასე,
არის სულის ნეტარება,
ორგული და მოღალატე
ქვეყნად არვის ეყვარება.

***

კაცად კაცი მაშინ ვარგა,
მაშინ არის საქები,
აქ დატოვოს, იქ რომ წავა,
დიდებული სახელი.

ეს რა დრო დაგვიდგა

ეს რა დრო დაგვიდგა,
ეს რა გვემართება,
ლამის გადვირიოთ მთლად.
აზრი შეგვეცვალა, შუღლი მოგვეძალა,
ძალა აღმართს აღარ ხნავს.

სხვისი დარდი, წყენა
სულ არ გვენაღვლება,
სხვისი კარგიც აღარ გვწამს.
მხოლოდ მოტყუება, მხოლოდ დაძალება,
მხოლოდ განდიდება გვწადს.

აღარც სინდისია,
აღარც ნამუსია,
აღარც სისპეტაკე ჩანს.
შური, ორგულობა, ზიზღი, ბოროტება –
ძმა ძმის სისხლით მიწას რწყავს.

იქნებ სიზმარია,
იქნებ სიცრუეა,
იქნება, ვატყუებთ თვალს?
თუ ეს ცხადია და თუ ეს ნამდვილია,
როგორ გავიმართლებთ თავს?

უფალს რატომ სცოდავთ,
ხომ არ შეიშალეთ? —
ბრაზობს მოქუფრული ცა.

ღმერთო, შეგვიბრალე!
ღმერთო, შეგვიწყალე!
ღმერთო, ნუ გაგვწირავ მთლად!

თბილისი, 1993 წ.

***

მე რომ მიხაროდა,
მე რომ მიხაროდა,
შურით რას მერჩოდი, რას?
ძალავ ჯადოქრისა, ძალავ ბოროტისა
რად არ მანებებდი თავს?

ტკბილი მოგონება
ნისლში ჩაძირულა,
ჯავრით აღარ იღებს ხმას.
გული დაკოდილა, თვალი დაბინდულა,
მეტი რაღა გინდა, რა?

როგორ მოგერიო,
როგორ შეგაჩვენო,
საით გაგეცალო, სად?
შენმა ბოროტებამ, შენმა ჯადოქრობამ
სულ მთლად ამიბნია გზა.

ვიცი, რომ სულ მალე
შენი დროც დადგება.
ვიცი, წაგაცლიან თავს.
ძალავ ბოროტისა, ძალავ ჯადოქრისა
ველარ გაიკაფავ გზას.

ღონე დაგელევა,
სისხლი დაგეცლება.
ცუდს რად უკეთებდი სხვას?
სხივი სინათლისა, ძალა სიმართლისა
მაინც გაიმარჯვებს, მწამს.

მე რომ მიხაროდა,
მე რომ მიხაროდა,
შურით რას მერჩოდი, რას?
ძალავ სიკეთისა, ძალავ სიმართლისა,
როდის გამინათებ გზას?

თბილისი, 1993 წ.

მშვიდობა გვინდა

მშვიდობის ფართო სადარაჯოზე
სამშობლო ჩვენი უფრო მტკიცდება,
და არვის მივცემთ იმის უფლებას,
რომ შეგვილახოს ჩვენი ღირსება.
მტერო, ვერაგო, ისმინე კარგად:
— არ გვინდა ომი, მშვიდობა გვინდა,
ვერას დაგვაკლებს შენი მუქარა,
რადგან ჩვენ მხოლოდ მშვიდობა გვინდა.
შორს გასწი ხელი, შედრკი, შეშინდი!
ჩვენ ქედის მოხრა სულ არ გვიხდება.
ის დიდი რწმენა გამარჯვებისა,
იცოდე, მხოლოდ ჩვენ აგვიხდება.
მშვიდობა გვინდა და გამარჯვებაც
ჩვენი იქნება მაშასადამე.
როდის ყოფილა, უსამართლობას
რომ ეზეიმა ამ ქვეყანაზე.
ჩვენშია მთელი სიმართლის ძალა,
რომელიც მუდამ აგუგუნდება
და ბრძოლა ჩვენი მშვიდობისათვის
სულ გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ლექსი

ლექსი არის სიცოცხლე,
ჩვენი ხსნა და მხნეობა,
ლექსი – ჩვენი სიმართლე,
ჩვენი კეთილდღეობა.
ლექსი არის პოეტის
ნიჭის გამობრწყინება,
გულის ამოძახილი,
სულის აღორძინება.
ლექსი არის სინათლე,
ზეციური სურნელი,
სიკეთის მოტრფიალე,
ბოროტის დამთრგუნველი.
ლექსო, შენი რითმებით
ამიტოკე ძარღვები,
მე ხომ შენით ვიზრდები,
მხოლოდ შენ გეძალები.
შენით ვიკრებ ძალ-ღონეს,
შენ მიშუშებ იარებს.
მუზავ, ნუ მიმატოვებ,
ჩემთან ერთად იარე!

მე ახლა მივხვდი

მე ახლა მივხვდი, რატომ წერენ ლექსებს ეულნი,
რომ გაიქარვონ ოდნავ მაინც სევდა, ტკივილი.

მე ახლა მივხვდი, რა ყოფილა დარდი წყეული,
ცრემლების გუბედ რომ მიქცია ტკბილი ღიმილი.

მე ახლა მივხვდი, რა ძნელია ობლობა სულის,
კაცს რომ საკითხი დაგიდგება ყოფნა-არყოფნის.

მე ახლა მივხვდი, რა ყოფილა ტკივილი გულის,
ტკივილი, რომლის მოსახსნელად ძალა არ გყოფნის.

მე ახლა მივხვდი, რატომ ხარობს თავის ბუდეში
ყველა სულდგმული, გულის სწორი თავს რომ ევლება.

მე ახლა მივხვდი, რა ყოფილა თურმე ნუგეში,
მარტოდ დარჩენილ კაცს რომ გულზე შვებად ედება.

ჰოი, მაცდურო, სიტკბოებავ წუთისოფლისა,
რატომ აწამებ, რატომ ტანჯავ ხან ვის, ხან ვისა?

შენ სისასტიკე უნდა გერქვას პირველყოვლისა,
რადგან ბოლომდე არ ახარებ ქვეყნად არვისა.

მე ახლა მივხვდი, რატომ წერენ ლექსებს ეულნი,
რომ გაიქარვონ ოდნავ მაინც სევდა, ტკივილი.

მე ახლა მივხვდი, რა ყოფილა დარდი წყეული,
დარდი, რომელმაც მომაყენა დიდი ტკივილი.

1991 წ.

***

მე ახლა უნდა ავმღერდე,
კმარა დუმილი ამდენი,
კმარა ლოდინი უაზრო,
კმარა დამალვა სათქმელის.

მე ახლა უნდა დავჯაბნო
მტერი ვერაგი, ტიალი
და გულიც უნდა ვიჯერო
ჩემი სამშობლოს ტრფიალით.

მე ახლა უნდა მოვასწრო
ლექსების წერა საქების.
თუ ახლა არა, მაშ, როდის,
როდის ვთქვა ჩემი სათქმელი?

მე ახლა უნდა ავმღერდე,
აღსრულდეს ჩემი სურვილი,
კმარა ლოდინი უაზრო,
კმარა ამდენი დუმილი.

იმედის დილა

იმედის დილა გათენდა,
ლაღად გავშალე ფრთა,
მუზამაც არ დააყოვნა,
სტუმრად მეწვია კვლავ.

ღრუბელი ქარმა გაფანტა,
ზეცა განათდა მთლად,
იმედის დილა გათენდა,
დროა, ვინატრო რამ.

დროა, ავმღერდე თამამად,
დროა, რაღაცა ვთქვა
და ვუგალობო ლამაზად
იმედს – მოფენილს ცად.

დავიწყე წერა რითმებით,
მუზას ავყევი კვლავ,
ისეთი შვება ვიგრძენი,
გულზე მომეშვა მთლად.

სევდას, ტკივილს და მისთანებს
გადავუკეტე გზა,
ცისკრის ზარების ტკბილ ჰანგებს
მეც შევუერთე ხმა.

იმედის დილა გათენდა,
რწმენით ავივსე კვლავ.
ისევ სიცოცხლეს ვუმღერი,
ლამაზ სტრიქონებს ვთხზავ.

***

მხიარული კაცი ვარ,
ამაზე ნუ გამკილავთ,
სულ ღრუბლებში დავფრინავ,
დარდით გულს არ გავყინავ.

რაც არ უნდა მტკიოდეს,
რაც არ უნდა მციოდეს,
ახლოს არ გავიკარებ
უარყოფით ბიოველს.

სუფრის თავში დავისვამ
ჩემი ჭკუის შესაფერს,
სულ არაფრად ჩავაგდებ,
თუ სხვა მე არ შემაქებს.

წამით არ დავფიქრდები
იმაზე, რაც ცუდია,
ეს ცხოვრება ისედაც
ერთი ბეწვის ხიდია.

არასოდეს მოვიწყენ,
ისეა თუ ასეა,
ჩემი გული ყოველთვის
იმედებით სავსეა.

მხიარული კაცი ვარ,
ლექსებს ვწერ და ვმღერივარ,
სულ ღრუბლებში დავფრინავ,
ამით ბედნიერი ვარ.

***

სიყვარულის ხიდი გავდე,
ვეტრფი ამგვარ ქმედებას,
უკვდავების ძაფით ვქარგე
ჩემი შემოქმედება.

მწყურვალს წყალი მივაწოდე,
მამულს ვედექ დარაჯად,
ერთგულს გულით ვუერთგულე,
მტერი ვჯაბნე ამაყად.

უფლის ძალას ვეთაყვანე,
ხოტბა ვასხი ხმამაღლა,
ჩემი რწმენა მის წინაშე
გამოვხატე ალალად.

ბალღებს ჩემი სიყვარული
ვუწილადე თანაბრად,
მშობლის მიმართ გრძნობა ტკბილი
ავამღერე ლამაზად.

სიკეთე და სისპეტაკე
იყო ჩემი მოძღვრება.
ამ შეგნებით ვასულდგმულე
მთელი ჩემი ცხოვრება.

სიყვარულის ხიდი გავდე,
დავტკბი ამგვარ ქმედებით,
გონივრულად განსჯა განდეთ
ჩემი შემოქმედების.

***

დღეს უთუოდ ჩემი დღეა,
ჰანგებს ვაწყობ რია-რია,
ასე ტკბილად, ასე ლაღად
ჯერ არასდროს მიმღერია.

თავს დამნათის ცისარტყელა,
რა ლამაზი ფერებია,
ეს ფერები, ყველა ერთად,
დღემდე არ მომფერებია.

დღეს ნამდვილად ჩემი დღეა,
არ ვუჩივი ბედის ტრიალს,
ასე ტკბილად, ასე ლაღად
ჯერ არასდროს მიმღერია.

1984 წ.

დედა

ნუთუ არსებობს რაიმე ქვეყნად
შენზე უტკბესი, უნეტარესი?
შენ ხარ ნამდვილად, მშობელო დედა,
ქალი ნაკურთხი, უზენაესი.

შენ ხარ არსება, შენი პირმშოსთვის
თავს რომ გასწირავ დაუფიქრებლად,
მის ავის მსურველს შენ რომ ყოველთვის
შეებრძოლები მოურიდებლად.

რაც კი ძვირფასი არსებობს ქვეყნად,
ყველა შენს სახელს უკავშირდება,
შენი ალერსი, მშობელო დედა,
მე სიცოცხლეში მუდამ მჭირდება.

წყარო ხარ, წყარო, შენ სათნოების
დაუშრეტელი, წმინდა, ანკარა.
თავს მევლებოდი მე სასოებით,
როცა ვიყავი ძლიერ პატარა.

გრძნობით აღსავსე ტკბილი სიტყვები
შენს სადიდებლად მუდამ მეყოფა.
რომ ჩამინერგე რწმენა სიკეთის,
შენ საამაყოდ ესეც გეყოფა.

დაუვიწყარი შენი ამაგი
რით გადვიხადო, ვიცოდე, ნეტავ.
მე შენ დაგლოცავ გულით ალალით,
— დიდხანს იცოცხლე, მშობელო დედა.

1978 წ.

ჩემო დედა

შენ მომანიჭე, ჩემო დედა, სიცოცხლე ქვეყნად,
შენ მითენებდი სასთუმალთან ღამეებს თეთრად.
ო, ის ბავშვობის სიტკბოება, ნეტარი დღენი
მე ხომ, ძვირფასო, მთელი ძალით შენგან ვიგრძენი.

მაშინ იყავი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე,
დაუღალავი და ხალისით მუდამ აღსავსე.
მე თვალწინ მიდგას მშვენიერი სხივით მოსილი
ის სახე შენი – სათნო, ნაზი, კდემამოსილი.

რამდენი სითბო, სასოება და სიყვარული
გქონია თურმე შენ მაგ გულში შემონახული,
რომ მთელი შენი გაზაფხული და შვება შენი
შვილებს შესწირე უყოყმანოდ შენივე ხელით.

თუ რამ სიწმინდე არის ჩემში, თუ გამაჩნია,
დედავ, ძვირფასო, მე ეს მადლი შენგან მაჩნია.
შენ ხომ სიკეთის დიდი რწმენა გამიდე ხიდად
და ამ დიდ ხიდზე გამატარე ოცნებით ფრთხილად.

რა დამავიწყებს მე შენს ამაგს, ძვირფასო დედა,
შენს სიყვარულზე უფრო ტკბილი რა არის ნეტავ?
ო, როგორ მინდა, შენი ხილვით დიდხანს ვიხარო,
რომ ოდნავ მაინც შენ ამაგი გადაგიხადო.

დღეს თუ, ძვირფასო, მე შენს თმაში ჭაღარას ვხედავ,
შენ არ გეგონოს, დაგიზამთრდა, მშობელო დედა.
არა, შენ მხოლოდ ქარიშხალი გაქვს გადავლილი,
შვილებზე ზრუნვით, უძილობით ხარ გადაღლილი.

გწამდეს, ზამთარი შენგან კიდევ ძლიერ შორს არის,
რადგან ეს გული ძველებურად ისევ შეგხარის,
შენი ალერსი მშობლიური და მხარდაჭერა
ახლაც მჭირდება, სანატრელო, ნუთუ არ გჯერა?

შენთვის საჩუქრად რა მომეძღვნა, ბევრი ვიფიქრე
და როგორც იქნა, დედავ ტკბილო, ეს მოვიფიქრე —
ჩემი შენდამი სიყვარული, ვით დიდი ძღვენი,
მე მთელი გრძნობით გავლექსე და შენ მოგიძღვენი.

1978 წ.

მოგონება

რა უდარდელად გვეძინა ბალღებს,
როს სამამულო ომი დაიწყო
და ეს ამბავი გულშემზარავი
მთელმა მსოფლიომ უმალ გაიგო.

სულ ექვსი თვისა ვყოფილვარ მაშინ,
მამა რომ ომში წაუყვანიათ,
რომ დედაჩემი, შვილებთან ერთად,
ომის დაწყებას წუხდა ძალიან.

უჭირდა დედას, მაგრამ რა ექნა,
შვილებისათვის თავს არ ზოგავდა,
თუმცა მას ხშირად, როგორც გმირ დედას,
ეხმარებოდა ჩვენი მთავრობა.

მე, თურმე, როგორც ყველაზე უმცროსს,
ერთგული და-ძმა არას მაკლებდა.
მათ, ომის სუსხით შეწუხებულებს
ჩემი ტიკტიკი ძალას მატებდათ.

როდესაც ოდნავ წამოვჩიტულვარ,
გავმხდარვარ, ასე, წლინახევრისა,
როგორც კი შუქი აინთებოდა,
ვაშბობდი თურმე: — მამა მოვიდა!

საოცარია, უმანკო ბალღმა
რად შევადარე მე იგი შუქსა?
ალბათ, მაშინვე ვგრძნობდი, რომ მამა
მართლაც შუქია ოჯახისთვისა.

ჩემი ტიკტიკი, იცით, აღსრულდა,
მართლა დაბრუნდა მამა ომიდან,
ომგადახდილი და ვალმოხდილი
იგი ოჯახში, ჩვენთან მოვიდა.

წარმოიდგინეთ ის სიხარული,
ჩვენმა ოჯახმა რაც განიცადა.
მაშინ პირველად, ხუთი წლის ბავშვმა,
მე გავიცანი მშობელი მამა.

მამის ჩამოსვლამ ჩვენი ოჯახი
ახალი ძალით აღაფრთოვანა,
დაღონებული ჩვენი გულები
კვლავ სიხარულმა აახმოვანა.

დედას და მამას ის უხაროდათ,
კარგი შვილები რომ ეზრდებოდათ,
ჩვენი სამშობლოს მზრუნველი ხელით
ჩვენი ოჯახიც ფეხზე დგებოდა.

ჩემო ქვეყანავ, შენს დიდ მომავალს
გრძნობდი, იცოდი ალბათ გუმანით,
ნაიარევი იყავი, მაგრამ
მაინც ყოველთვის ჩვენზე ზრუნავდი.

მახსოვს, სკოლაშიც, ყველგან, ყოველთვის
მაშინ მშობლიურ ზრუნვასა ვგრძნობდით,
სიცოცხლე ისე იფურჩქნებოდა,
რომ ჩვენს თავს თითქმის ვეღარც კი ვცნობდით.

აი, ასეთი ზრუნვის შედეგად
წამოვიზარდეთ ჩვენ, პატარები.
დიდი მადლობის გრძნობას გულწრფელად
იმ ნორჩი გულით მე ვატარებდი.

გავიდა დრო და ჩვენ დავოჯახდით,
გულით ვიკისრეთ ეს წმინდა ვალი.
მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი
შემხვდა ცხოვრების მე მეგობარი.

ამოვუდექით მხარში ერთმანეთს,
როგორც გვასწავლეს ჩვენმა მშობლებმა.
შრომა, გარჯა და მამულის ტრფობა
გვინდა ისწავლონ ჩვენმა შვილებმაც.

ხანდახან, როცა გამახსენდება
ჩემი უმანკო ბავშვობის წლები,
მე მთელი ძალით და შემართებით
ბავშვთა მშვიდობის მეხოტბე ვხდები.

მინდა, რომ იყოს მშვიდობა ქვეყნად,
რაც ყველას გულით გაგვახარებდა.
დე, ომის სუსხი, რაც ჩვენ გადაგვხდა,
არ გამოსცადონ კვლავ პატარებმა.

ახლაც, როდესაც ჩვენი ცხოვრება
დღითიდღე უფრო უმჯობესდება,
მე ვნატრობ: — ღმერთო, შვილებმა ჩვენმა
იგემონ მხოლოდ ბედნიერება.

თბილისი 1978 წ.

სიკეთის წყაროვ

დედავ, სიკეთის წყაროვ,
სულის უსაზღვრო შვებავ,
ეს გული შენით ხარობს,
შენით ცოცხლობს და ტკბება.

შენი ნათელი სახე,
შენი უბადლო მზერა
მუდამ იმედით მავსებს,
მუდამ დამიცავს, მჯერა.

სითბოს, სიყვარულს შენსას
რა შეედრება ქვეყნად.
რა გავაკეთო ნეტავ,
რომ გაგახარო დედა?

მინდვრის ყვავილებს დავკრეფ,
თაიგულს შევკრავ ლამაზს,
მოგართმევ, გრძნობით სავსე
გულში ჩაგიკრავ ნაზად.

შენთვის სიცოცხლეს ჩემსას
არ დავიშურებ, არა,
ოღონდ შენ იყავ ჩემთან,
ოღონდ შენ მყავდე კარგად.

დედავ, სიცოცხლის წყაროვ,
სულის უსაზღვრო შვებავ,
ეს გული შენით ხარობს,
შენით ცოცხლობს და ტკბება.

ეს გული მაინც ახლოა მზესთან

დეკემბრის თვესა, სუსხიან დღესა
გავუჩენივარ მშობელსა ჩემსა.
ზამთარმა სუსხი თუ დამაბედა,
ეს გული მაინც ახლოა მზესთან.

დეკემბრის თვესა, სუსხიან დღესა
გავუჩენივარ მშობელსა ჩემსა.
მე სიყვარულით მოვედი თქვენთან
და სიყვარულით სავსე ვარ დღესაც.

რომ სიყვარულით მოვედი თქვენთან,
ამას ვამბობდი და ვიტყვი ყველგან.
მთელი არსებით ვგრძნობ, მწამს და მჯერა,
რომ ბოროტება შორსაა ჩემგან.

დეკემბრის თვესა, სუსხიან დღესა
გავუჩენივარ მშობელსა ჩემსა.
ზამთარმა სუსხი თუ დამაბედა,
მე გულით მაინც ახლოს ვარ მზესთან.

ჩემო შვილებო

მილოცვა ქორწინების დღეს

ასე რომ გხედავთ სახემცინარეთ
და ნეტარების მატკბობთ წუთებით,
ჩემო შვილებო, ამ ბედნიერ დღეს
მინდა დაგლოცოთ განსაკუთრებით.

დღეს სულ სხვაგვარად ძგერს გული ჩემი,
მე თქვენი ხილვით ვარ ბედნიერი.
ღმერთს ვევედრები, სიცოცხლე თქვენი
იყოს ხანგრძლივი და მშვენიერი.

სულ ასე წყვილად, სულ ასე ერთად
ქვეყნად სიკეთე იგემეთ ბევრი.
იცხოვრეთ ისე, ხალხს თქვენზე ეთქვას: —
ხართ საამაყო შვილები ერის.

დაგბედებოდეთ სითბო, სინათლე,
ნატვრის ახდენა, წინსვლა და ლხინი,
მკლავში სიმარჯვე, შვილთა სიმრავლე,
ბედნიერების დღეები ტკბილი.

ია-ვარდებით მოფენილიყოს
თქვენი ცხოვრების ნათელი გზები,
სულ გამარჯვების მწვერვალზე ასულთ
დამარცხებული გიმზერდეთ მტერი.

სულ ასე ტკბილად, სულ ასე ერთად...
სხვა რა გისურვოთ ამაზე მეტი.
სადაც კი წახვალთ ყოველთვის, ყველგან
ძალა გიცავდეთ მაღალი ღმერთის.

აგსრულებოდეთ, რაც დღეს გისურვეთ,
ფუძეს გილოცავთ მყარსა და ძლიერს.
თქვენს დიდ სიხარულს, თქვენს დიდ სიყვარულს,
თქვენს ტკბილ სიცოცხლეს, მრავალჟამიერ!

***

ჩემო მშვენიერო,
ჩემო სანატრელო,
ჩემთვის მოვლენილო ბედის საჩუქარო,
რაც არ უნდა მავნო, რაც არ უნდა მტანჯო,
გული მაინც გეტყვის, მე შენ მიყვარხარო.

***

რა ლამაზია დილა,
რა ლამაზია მზე,
სიცოცხლე იმად ღირდა,
რომ შემეძინე შენ.

***

ერთი რამ მინდა გისურვო მხოლოდ,
როს გისრულდება დღეს ოცი წელი –
მაღალ ღმერთსა ვთხოვ, ვაჟკაცო ჩემო,
ტკბილად გეცოცხლოს ასოცი წელი.

სამადლობელი მასპინძლობისთვის

თქვენთან განვლილმა დღეებმა
გული აგვივსო ხალისით,
ასეთი პატივისცემა
რით გადვიხადოთ, არ ვიცით.

ვიცოდით თქვენი სიკეთე,
განა ეს ნათლად არ ჩანდა?
მაგრამ აქ თვალით ნანახმა
მოლოდინს გადააჭარბა.

ეს თქვენი თბილი დახვედრა
ჩავწერეთ გულში სათუთად
და ნიშნად მადლიერების
ლექსი გიძღვენით საჩუქრად.

ამ სითბოს ყველას ვაუწყებთ,
სადამდეც ჩვენ ხმა მიგვწვდება.
მერწმუნეთ, რომ ეს დღეები
არასდროს დაგვავიწყდება.

ვბრუნდებით ჩვენს ტკბილ ოჯახში
უამრავ კარგი სათქმელით,
წინასწარ გიხდით მადლობას
ჩვენი შვილების სახელით.

რა კარგი იყო აქ, თქვენთან,
ამ ძვირფას დღეებს რა სჯობდა.
გკოცნით, გეხვევით სუყველას
და გიხდით უღრმეს მადლობას.

თბილისი, 1988 წ.

მერის

მზემ მცხუნვარება ნოემბრის თვეშიც
კვლავ დაიბრუნა რაღაც თილისმით,
რომ შენ, დიდი ხნის უნახავ ასულს,
მოგფერებოდა დედათბილისი.

ახდა ოცნება, ნატვრა გულისა,
შენ კვლავ ჩამოხველ, თუმცა დროებით.
დროებით, მაგრამ მაინც ვეღირსეთ
შენს ნახვას, ასე რომ მოველოდით.

მერი! ძვირფასო მეუღლევ, დედავ,
დაუშრეტელო წყაროვ სიკეთის,
შენს შესამკობად, შენს სადიდებლად
მე დღეს არ მყოფნის, დაო, სიტყვები.

შენი მდიდარი სულის წინაშე,
მერი, ქედს ვიხრით ყველა მორჩილად.
ახლა კი მჯერა, შენი მეუღლე
რა ბედნიერი კაცი ყოფილა.

შენებრ კეთილი ვერსად ვერ ვპოვე,
ამას ნუ მიწყენს მე დღეს ნურავინ,
შენით რამდენჯერ იამაყებენ
შენი თემური, იზა, გურამი.

ქვეყნად სიკეთის დედოფლად, მერი,
უთუოდ მხოლოდ შენ აგირჩევდი.
მე შენთვის ლექსი რომ არ მომეძღვნა,
აქედან ისე ვერ გაგიშვებდი.

შენს კარგ ქალობას, შენს სათნოებას
ვამბობდი მერი და ვიტყვი ყველგან.
დღეს კი, ძვირფასო, ეს ლექსი წრფელი
გულთბილ საჩუქრად მიიღე ჩემგან.

რაც მსურდა მეთქვა, ჩემო დაიკო,
გითხარი, გულში შვება ვიგრძენი.
გრძნობით გამთბარი ეს სტრიქონები
შენთვის დავწერე, შენ მოგიძღვენი.

თბილისი, 1987 წ.

***

მე დღემდე ვერ გამიგია,
რა მემართება, არ ვიცი,
შენს სახელს როგორც ვახსენებ
მუზა მეწვევა თავისით.

ვერ მოვიოხე ეს გული
შენი ამდენი შექებით.
შენ ერთი ხარ და ქალს შენებრს
მე ვერსად ვეღარ შევხვდები.

ბუნებამ თავის სიკეთით
რა უხვად დაგაჯილდოვა,
არ გიყვარს დავიდარაბა
და უხმოდ თესავ მშვიდობას.

რაც უნდა გული გატკინონ
(თუ წააწყდები ასეთებს),
შენ მაინც შენს გზას მიჰყვები,
მაინც სიკეთეს აკეთებ.

ესაა შენი მოძღვრება,
ესაა შენი მიზანი,
შენი სპეტაკი სულისთვის
ზეცაც მადლობას გიგზავნის.

ასეთი კარგი როგორ ხარ,
მიზეზი მაინც ვიცოდე,
მე შენ, ძვირფასო, სიკეთის
ზღაპრულ ფერიას გიწოდებ.

რამდენის გული მოხიბლე
შენი ზღაპრული სახელით,
სხვა რაღა გითხრა, დაიკო,
ქალი ხარ მართლა საქები.

გამორჩეულად გაფასებ
იმ დღიდან, რაც გაგიცანი,
მოყვარეს დღეს გულს უხარებ
შენი ოჯახით ძვირფასით.

ნამდვილად კარგი ქალობით
ბევრს აუხილე თვალები,
ნეტავი ჩვენს ერს ყოველთვის
უმრავლოს შენისთანები.

თბილისი, 1988 წ.

ვუძღვნი ჩემს ძმობილს, აბრამ ბაზელს

ასრულდა შენი ოცნება,
საქმით თქვი შენი სათქმელი,
საქვეყნოდ გამოაბრწყინე
სახელი – აბრამ ბაზელი.

შენ საქართველომ გაგზარდა,
მოგფინა შუქი ნათელი,
რომ ძმობისათვის გემღერა –
ებრაელის და ქართველის.

ცხოვრებამ რა არ მოგიწყო,
გაუძელ ყველა გამოცდას,
არასდროს არ გიფიქრია
შენი იდეის გამოცვლა.

რამდენის გული მოხიბლე
შენ ხელოვნებით, ნატიფით.
დღემუდამ დაუცხრომელი –
საოცრება ხარ ნამდვილი.

გჯერა და კიდეც ასრულებ
ბრძენის დაწერილს სრულიად:
– რასაცა გასცემ შენია,
რაც არა – დაკარგულია.

შენი კაცური კაცობით
რა სიმაღლეზე ახვედი,
სულ მაღლა, მაღლა, ძმობილო,
აბრამ ბაზელის სახელით!

მასპინძლის სამადლობელი

ნება მიბოძეთ მასპინძელს,
ლექსად ვთქვა ჩემი სათქმელი
და მოგიხადოთ მადლობა
ჩემი ოჯახის სახელით.

დღეს ჩემი სახლის ფუძე-ჭერს
ატკბობს საამო ხმაური,
თქვენც დაგებედოთ, ვისაც გსურთ,
ასეთი აურზაური.

მინდა გისურვოთ მშვიდობა,
ზეცა ულრუბლო, მზიანი,
სიტკბო და მხიარულება,
სიცოცხლე მრავალწლიანი.

გფარავდეთ ძალა უფლისა,
იბედნიერეთ, იხარეთ,
ვინც ჩვენი ბედნიერება
დღეს გულით გაიზიარეთ.

ეს მსურდა, ჩემო სტუმრებო,
ლექსად ვთქვი ჩემი სათქმელი,
გიხდით გულითად მადლობას
ჩემი ოჯახის სახელით.

1985 წ.

***

მე შენ მოგიძღვენი სიყვარული ჩემი,
შენზე ფიქრით ვდნები, როგორც ფიფქი თოვლის,
მე შენ მოგიძღვენი ქვეყნად ყველაფერი
რაც კი გამაჩნდა და რასაც ვერა ვთმობდი.

ჩემი მერცხალი

მოფრინდა ჩემი მერცხალი –
კუდმაკრატელა, პატარა
და საამური, ტკბილი ხმით
კარგი ამბავი მახარა.

მითხრა: – ამ ზამთარს, ნეტავი,
თავს მწირად რატომ თვლიდიო?
სულ სიხარულად გექცევა,
რაც კი შეგემთხვა ცუდიო.

იმდენი ფიქრით ამაოდ
რისთვის დატანჯე სულიო?
თავის საკადრისს მიიზღავს,
ვინც კი გატკინა გულიო.

ეს თქვა და შეინავარდა,
ჭიკჭიკი მორთო ხალისით,
მეც მისი ტკბილად ნათქვამი
გულში იმედად ჩავითქვი.

მივუალერსე კუდრაჭას,
დღე დავულოცე გაჩენის,
რომ გული გამიხალისა
ფიქრებთან მარტო დარჩენილს.

მოფრინდა ჩემი მერცხალი —
ჭიკჭიკა, დამატკბობელი,
სიკეთის და სიხარულის
ლამაზი მახარობელი.

თბილისი 1984 წ.

გაზაფხულდა

გაზაფხულდა, ნაირფერად
შეიმოსა მინდორ-ველი,
ღამემ იკლო, დღემ იმატა,
დადგა ჟამი სანატრელი.
            გაზაფხულის თბილმა სიომ
            საამურად დაუბერა,
            მზის სხივებმა დედამიწას
            კვლავ სიცოცხლე შთაუბერა.
რა საამო სურნელია,
გული სახლში ითმენს განა?
აბა, ვის არ მიიზიდავს
სილამაზე ამისთანა.
            ხეს ფოთლები გამოუსხამს,
            ხარობს ვარდი, ხარობს ია,
            ჩვენს სალხენად ბულბულებსაც
            აქ გალობა გაუბიათ.
ზეცამ ჯანღი გადიყარა,
დაიბრუნა ლურჯი ფერი,
რომ ბუნებას შეუხამოს
თავის ძალა და ელფერი.

გაზაფხულის მობრძანებით
მართლაც შვება იგრძნო სულმა,
ეზო-კარი გააცოცხლა
პატარების ჟრიამულმა.
ირგვლივ ყველგან სიცოცხლეა,
ნეტარებით ხარობს გული,
ვის არ ხიბლავს, ვის არ ატკბობს
მშვენიერი გაზაფხული.
და ჩვენც ნუღარ დავაყოვნებთ,
მეგობრებო, ძმებო, დებო,
გაზაფხულის მობრძანებას
ჩვენც ხალისით შევეგებოთ.
გაზაფხულდა, ნაირფერად
შეიმოსა მინდორ-ველი,
დაილოცოს, დაილოცოს,
გაზაფხულო, მოსვლა შენი.

ახალი წელი

რა მხიარული ხმები გაისმის,
დღეს რა ბედნიერ შეხვედრას ველით?
მალე, სულ მალე ჩვენთან ზეიმით
შემობრძანდება ახალი წელი.
ახალო წელო, სვებედნიერო,
მობრძანდი, გელით სიმღერით, ლხენით.
ყური დამიგდე, ფეხბედნიერო,
მინდა დაგლოცო მე ტკბილი ენით.
შენ განამტკიცე მშვიდობა ქვეყნად
და ჩვენც მშვიდობის გზაზე გვატარე.
ამ ჩვენს საყვარელ შვილებთან ერთად,
წელო ახალო, კვლავ გაგვახარე.
შენ გაგვიფანტე დარდი გულიდან
და სიხარულის შუქი გვაფრქვიე.
შენი სიკეთის კალთა დღეიდან
ჩვენ მთელი გრძნობით შემოგვახვიე.
გაუხსენ ბედი ვაჟებს, ქალწულებს,
რომ გაგვიმრავლდეს ლხინი, ქორწილი,
შენ აარიდე ჩვენს ალალ გულებს
ავადმყოფობის მძიმე ბორკილი.

შენ განკურნავდე იმასაც, ნეტავ,
ვისაც რაღაცით სტკივა დღეს გული.
ისიც ხომ ერთხელ მოსულა ქვეყნად,
შენ გაუხარე დაჩაგრულს გული.

დაე, შენს ძალას ვუმადლოთ ყველამ,
მტრის ავი ზრახვა კვლავ აგვცდენოდეს.
შვილებზე ზრუნვით გადაღლილ დედას
ტკბილი ოცნება, დე, ახდენოდეს.

იყავ უხვი და ბარაქიანი,
ლხინით აავსე სუფრები ჩვენი,
იყავ ყველასთვის შენ იღბლიანი,
რომ დაგვანახო სიკეთე შენი.

შემოდგი ფეხი სიცილით, ლხენით,
ბედნიერება გვინდა გვახარო.
მრავალჟამიერ! მე ტკბილი ენით
დამილოცნიხარ, წელო ახალო!

***

„მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა“,
შენი სხივებით გამათბე,
ჩამომაშორე გლოვასა.

გადამეღალა ეს გული
ამდენი დარდით, ვარამით,
ჩემი მშველელი შენ გარდა
არ მეგულება არავინ.

იქნება, გული გამითბო,
გააქრო ჩემი დარდები,
ტკივილი გადამავიწყო,
შენს ძალას ვენაცვალები.

გაფანტე შავი ღრუბელი,
გულს ჩამისახე იმედი,
ჯერ სათქმელი მაქვს ულევი,
ჯერ მოყვასს კიდევ ვჭირდები.

„მზეო, ამოდი, ამოდი...“
არ მოეფარო გორასა,
შენი სხივებით გამათბე,
ჩამომაშორე გლოვასა.

ცხრა მაისი

მზის ელვარებით ბრწყინავს მაისი,
ზღაპრულ ფერებში კეკლუცობს, ელავს,
და თან ჩვეული სიდარბაისლით
დღეს საზეიმოდ მოუხმობს ყველას.

ირგვლივ ჩურჩული ისმის ვარდების,
ფრინველთ გალობა, ჭიკჭიკი, სტვენა.
სიხალისეა, ხედავთ, რამდენი,
გული სიამით ივსება, ტკბება.

ულერს გაზაფხულის ტკბილი ჰანგები,
სიცოცხლის ძალა იგრძნობა ყველგან,
ჩვენც სულიერად ისე ვმაღლდებით,
ლამის ზეცაში დავიწყოთ ფრენა.

მზის ელვარებით ბრწყინავს მაისი,
ზღაპრულ ფერებში კეკლუცობს, ელავს,
და თან ჩვეული სიდარბაისლით
დიდ გამარჯვებას გვილოცავს ყველას.

თბილისი, 1983 წ.

მიყვარს მაისი

მიყვარს მაისი, გაზაფხულის თვე სანატრელი,
სულში ჩამწვდომი სილამაზით, ზღაპრულ ფერებით,
აყვავებული, მშვენიერი ბაღჩა-ბაღებით,
ვარდ-ყვავილებით მოქარგული მინდორ-ველებით.

მატკბობს მაისის ყველა დღე და წამი ყოველი
მთელი თავისი ეშხითა და შერწყმით ფერების,
მისი სილაღე, სურნელება დამათრობელი,
მზის მცხუნვარებაც და შხაპუნა წვიმის წვეთებიც.

მიყვარს მაისი, ჩემი პირმშოს თვე დაბადების,
ჩემი ვაჟკაცის, ასე ძლიერ მიყვარს რომელიც.
მიყვარს მაისი — თვე სიცოცხლის, თვე აღმაფრენის
და მეც ყოველთვის მისგან მხოლოდ შვებას მოველი.

მოდის ახალი წელი

მოდის ზეიმით, მოდის თავისით
დღეს სანუკვარი ახალი წელი.
ბედნიერება მოაქვს ხალისით,
ხვავი, ბარაქა – ორივე ხელით.

მხრები აზიდა და ვაჟკაცურად
ჩვენკენ მოიწევს ტკბილი ფიქრებით.
ო, რა ფაქიზად, რა საამურად
გზას ულოცავენ თოვლის ფიფქები.

წელგამართული მხნედ მოაბიჯებს,
არ ეშინია ყინვა-სიცივის.
მოვა და თავის შუქს მოგვანიჭებს,
მოგვესალმება ლაღად, სიცილით.

შეხეთ, რა მკვირცხლად და შუქის ფრქვევით
გადმოიარა მან მთა და ბარი.
რაღას უდგახართ, სიმღერით, ლხენით
ჩვენც შევეგებოთ, გავუღოთ კარი.

რომ გაგვახაროს უხვი სიკეთით,
შემოვიწვიოთ გაშლილი ხელით,
სავსე ჭიქებით, ტკბილი სიტყვებით,
გულით დავლოცოთ ახალი წელი.

გზა დაგელოცოს, წელო ახალო,
შენი სიკეთით ყველას გვეხაროს,
ბედნიერების ტკბილი მალამო
ყველა ოჯახში შემოგეტანოს.

დღეს შენს შემოსვლას ვზეიმობთ ერთხმად,
შენთან შეხვედრა გვახარებს ძლიერ.
დატკბი, იხარე შენც ჩვენთან ერთად,
ახალო წელო, მრავალჟამიერ!

***

მოვდივარ, მომიხარია,
გამიღეთ ფართოდ კარები,
მომაქვს სიკეთე ულევი
და სიხარული რამდენი.

ჩემთან პირისპირ შეხვედრა,
ვიცი, რომ ძლიერ გახარებთ,
სიტკბო და სიამოვნება
მინდა ვაჩუქო პატარებს.

სუყველას დაგასაჩუქრებთ,
არ გამოგტოვებთ არავის,
დაგლოცავთ, გაგაძლიერებთ,
აგავსებთ ხვავით, ბარაქით.

მოვდივარ, მომიხარია,
მომაქვს სიკეთე მრავალი,
ბედნიერები გაგხადოთ —
ესაა ჩემთვის მთავარი.

მრავალ, მრავალ ახალ წელს!

ცა ვერცხლისფრად შეიღება
ამ ბედნიერ, ნანატრ დღეს,
რიხიანად შემოსძახა:
— მოგილოცავთ ახალ წელს!
თოვლის თეთრი ფანტელები
ეფინება მთას და ველს
საამური შეძახილით:
— მოგილოცავთ ახალ წელს!
ხის ტოტებზე ბეღურები
ჟღურტულებენ, მღერიან,
ახალი წლის მობრძანებას
მოუთმენლად ელიან.
თოვლის პაპაც გვესტუმრება
ახალი წლის ნანატრ დღეს,
ყველა ნატვრას აგვისრულებს,
სიხარულით აგვავსებს.
გულს ხალისი ეძალება,
სული ეშხით ღაღადებს:
—მოგილოცავთ, მოგილოცავთ
მრავალ, მრავალ ახალ წელს!

***

საით ფრენ, ჩემო მერცხალო,
რატომ მარიდებ თვალსაო,
ასე რად დადუმებულხარ,
რად აღარ იღებ ხმასაო?
მომწყურდა შენი ჭიკჭიკი,
როგორც წყალობა ღვთისაო,
სითბო ცხრათვალა მზის სხივის,
მზერა ლაჟვარდი ცისაო.
ჩემთან მოფრინდი და მკითხე,
ხომ არაფერი გჭირსაო,
მეც სიხარულით მიგიღებ,
უმალ გადგიშლი გულსაო.
დაგლოცავ, მოგეფერები,
ამბებს გიამბობ წლისაო,
შენც იმედებით ამავსებ
შენი საამო ხმითაო.
მოფრინდი, ჩემო მერცხალო,
ნანატრო დიდი ხნისაო,
სიცოცხლის ტკბილო ნექტარო,
შენ – მოციქულო მზისაო.

გაზაფხული

ქარი რისხვას ველარ ბედავს,
ხმას ვერ იღებს დაზაფრული,
სურნელებამ დაატყვევა
მშვენიერი გაზაფხულის.

მზე აცხუნებს ნება-ნება,
უკან დარჩა სუსხი ზამთრის,
სულს ხალისი ეძალება,
სადღაც ქრება სევდა, დარდი.

გაზაფხული შემოსულა, —
სიხარულით გვამცნობს ქნარი,
სიმღერებით დაატკბეთო
ეს ბუნების საჩუქარი.

გული სითბოს ველარ იტევს,
ნეტარება გვიპყრობს სრული,
რა კარგია, რა კარგია
მობრძანება გაზაფხულის.

დედის დღე

როგორ მინდა მოგეფერო,
გავახარო შენი გული,
დაგკოცნო და მოგილოცო
დედის დღე და გაზაფხული.

რომ სიცოცხლეს მირჩევნიხარ,
დავიფიცებ მე ამაზე,
შენზე ტკბილი, შენზე კარგი,
აბა, ვინ მყავს ქვეყანაზე.

ფიანდაზად დაგიფინო,
მსურს, ძვირფასო, ჩემი ხელით
ყვავილებით მოქარგული
ეს ლამაზი მინდორ-ველი.

საყვარელო, სანატრელო,
დღეს დაგლოცავ მთელი გულით,
შენთვის ბევრჯერ მომელოცოს
დედის დღე და გაზაფხული.

მამიკო

ყველაზე ძლიერო, ყველაზე მამაცო,
შენ ჩემო ძვირფასო, კეთილო მამიკო,
რომ ძლიერ მიყვარხარ, რომ შენით ვამაყობ,
მსურს ყველას ვამცნო და მსურს ყველამ გაიგოს.

შენ ხომ ჩემს სიცოცხლეს სჭირდები მზესავით,
იმედით შეგყურებთ მეცა და დედიკოც.
ძალიან გაფასებ და მინდა შენსავით
ყველაზე კარგი და კეთილი მეც ვიყო.

რასაც კი მარიგებ, რასაც კი მასწავლი,
მე მთელი არსებით, მინდა, რომ გავიგო.
გპირდები, ვიქნები ყოველთვის მართალი,
არასდროს შეგარცხვენ, ძვირფასო მამიკო.

საყვარელო ბებია

ლექსით მინდა შეგამკო,
საყვარელო ბებია,
შენისთანა კეთილი
ქვეყნად განა ბევრია?

ვიცი, როგორ იღლები
ჩემზე ზრუნვით, ფიქრებით.
შენ თუ არ დაგაფასე,
მე რა გოგო ვიქნები?

მოდი, გულში ჩაგიკრა,
გაგიფანტო დარდები,
მე რომ მოგეფერები,
უფრო შეგიყვარდები.

ხედავ, ჩემი ალერსით
გულში შვება იგრძენი.
ეს ხალასი სიტყვები,
ბები, შენ მოგიძღვენი.

ბები

ბები, ბები, ბები,
ჩემო კარგო ბები,
რომ მიყვარხარ ძლიერ,
ნუთუ ვერა ხვდები?

თუმც სუნთქვა ვარ მამის
და სიცოცხლე დედის,
სულ სხვა არის მაინც
მოფერება ბების.

მინდა, თხოვნა ერთი
შეასრულო ჩემი,
შენც ყველაზე მეტად
მე გიყვარდე, ბები.

ლიკა მქვია სახელად

(ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს – ლიკას)

გოგონა ვარ ძალზე კარგი,
(იქნებ არც ღირს სათქმელად),
დედის – გული, მამის – ვარდი,
ლიკა მქვია სახელად.

მიყვარს ცეკვა და თამაში,
უქმად ყოფნას ვერ ვიტან.
მინდა ვიყო სულ ლამაზი,
სხვა ოცნებაც ბევრი მაქვს.

სახლში დედას ვეხმარები –
დედა მიყვარს ძალიან,
მამას ყველგან თან დავყვები –
გულს ასე უხარია.

მე ლექსებიც ბევრი ვიცი –
პოეტი მყავს ბებია,
ლიკა ბებოს როგორ ჰგავსო,
ასე გვეუბნებიან.

რომ მაქებენ, მიხარია,
გეტყვით ამას ფარულად,
ჩემით ძლიერ ამაყობდა
ჩემი აბრამ ბაბუაც.

ერთი სიტყვით, ვინც კი მხედავს,
ყველას ძლიერ მოვწონვარ.
ხედავთ, ხომ არ მოგატყუეთ,
მართლა კარგი გოგო ვარ.

ბაბუის სახელს ვატარებ
(ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს – აბიკოს)

ბაბუის სახელს ვატარებ,
ბიჭი ვარ გულით ალალი,
ისეთი კარგი მსურს ვიყო,
როგორც ბაბუა აბრამი.

არც ზარმაცი ვარ, არც მხდალი,
არ მეშინია არაფრის,
ზუსტად ასეთი ყოფილა
ჩემი ბაბუა აბრამიც.

სიკეთეს დიდად ვაფასებ,
გული მაქვს, რა ვქნა, ამგვარი,
ძალზე კეთილი ყოფილა
ჩემი ბაბუა აბრამიც.

ყველა აქებს და ადიდებს,
არა ჰყავდაო ბადალი,
კაცური კაცი ყოფილა
ჩემი ბაბუა აბრამი.

— აბა, შენ იცი, ვაჟკაცო,
გესმის, რას გეუბნებიან? —
თავზე ხელს მისვამს მამიკო,
ტკბილად მარიგებს ბებია.

ბაბუის სახელს ვატარებ,
ბიჭი ვარ გულით ალალი.
ვფიცავ, არასდროს შევარცხვენ
სახელს ბაბუა აბრამის.

სიკეთეს გულით ვატარებ

(ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს – მიშიკოს)

სიკეთეს გულით ვატარებ,
ბუნების ამ ტკბილ ნახელავს,
ერთი კეთილი ბიჭი ვარ,
მიშიკო მქვია სახელად.

გინდათ, რომ კარგად გამიცნოთ?
ცელქი ვარ, სახემცინარა,
ჩემზე ვერავინ ვერ იტყვის
უსაქმურსა და მძინარას.

ალიონს ვხვდები ტიკტიკით,
ხალისით ვიწყებ სიმღერას,
ალერსით მანებივრებენ,
მეც ძლიერ მიყვარს სუყველა.

დედაა ჩემი სიცოცხლე,
სინათლე – ჩემი მამიკო,
ძალიან მიყვარს აგრეთვე
ჩემი ლამაზი დაიკოც.

ბებია ზრუნვას არ მაკლებს,
მასწავლა კარგი ლექსები,
მადლობის ნიშნად ჩემს ბებოს
მეც ნაზად ვეალერსები.

სიკეთეს გულით ვატარებ
ყველასთვის კარგის მდომელი,
ესაა ჩემი ცხოვრების
ვარსკვლავი მანათბელი.

ბედობის დღეს დავიბადე

(ვუძღვნი ჩემს შვილიშვილს – თამუნას)

ბედობის დღეს დავიბადე,
ლოცვა ამყვა მრავალი,
სახლში ძლიერ გაიხარეს
და დამარქვეს თამარი.

მთელ სიცოცხლეს ვურჩევნივარ
დედიკოს და მამიკოს,
არანაკლებ მანებივრებს
ჩემი კარგი ძამიკოც.

მიყვარს ცეკვა, სიმღერა და
თოჯინებით თამაში,
ერთხელ სტუმრად თუ მეწვევით,
დარწმუნდებით ამაში.

ირგვლივ ყველა მეფერება,
ალერსით ვარ გამთბარი,
ბევრი ლექსიც შემასწავლეს
ბებოს მუზით ნაქარგი.

როგორ მინდა, ვიყო მუდამ
კეკლუცი და ლამაზი,
ყველა ნატვრა ამისრულდეს
ამ ჩემს გულში რაც არი.

ბედობის დღეს დავიბადე,
ლოცვა ამყვა მრავალი,
მშობლებს გული გავუხარო,
არის ჩემთვის მთავარი.

ჩემი კარგი დედიკო

ჩემისთანა კარგი დედა
ქვეყნად არვის არა ჰყავს,
ის სულ სხვაა ჩემთვის მუდამ
და არავის არა ჰგავს.

ჩემს საყვარელ, ძვირფას დედას
ჩემთვის მუდამ სცალია,
მას რომ ვინმემ აწყენინოს,
გავბრაზდები ძალიან.

დედა ჩემი იმედია,
ჩემი გული, სუნთქვაა,
ძლიერ მიყვარს მამაც, მაგრამ
დედა მაინც სულ სხვაა.

ეს სიტყვები ჩემს მამიკოს,
ვიცი, არ ეწყინება.
ჩემი დედა მასაც უყვარს,
გული არ ეტკინება.

და თუ მამას ეწყინება,
მე ერთ კითხვას დავუსვამ,
მიპასუხოს, მასაც დედა
ასე ძლიერ რად უყვარს?

როცა დიდი გავიზრდები,
გაძლევთ ამის პირობას,
დავაფასებ დედის ამაგს
და ჩვენს დედაშვილობას.

ლიას სიზმარი

ადრიანად გაიღვიძა
პაწაწინა ლიამ,
ძმას შესძახა: — ჩემი ბურთი
რად დაკარგე, გია?

წუხელ ლიას დაესიზმრა,
რომ ძამიკო გიას
თამაშის დროს მისი ბურთი
სადღაც დაკარგვია.

უპასუხა გიამ მშვიდად:
— რად მიწყრები ლია?
გეფიცები, შენი ბურთი
სულ არ მინახია.

წამოვარდა ლია ზეზე,
რომ მოძებნოს ბურთი,
სულ ბოლომდე ამოქექა
სათამაშო ყუთი.

რომ ვერ ნახა, გაგულისდა,
მორთო ღრიანცელი,
ძირს გაწვა და ატყაპუნა
ფეხები და ხელი.

უცებ განზე გაიხედა,
დაინახა ბურთი,
წამოხტა და სიხარულით
ძმა ჩაიკრა გულში.

გთხოვთ, მირჩიოთ

გთხოვთ, მირჩიოთ, ძლიერ მინდა,
თქვენი აზრი გავიგო.
ვინ მიყვარდეს უფრო მეტად,
დედიკო თუ მამიკო?
            დედა ჩუმად მეუბნება:
            — შვილო, მამა გიყვარდეს.
            მამიკო კი სულ მარიგებს,
            დედა უფრო მიყვარდეს.
ყოველ ღამე მე ძილის წინ
ვფიქრობ, როგორ მოვიქცე,
მათ სიყვარულს მეტ-ნაკლებად
ვერა, მე ვერ მოვითმენ.
            ვერ მოვითმენ, რადგან ვიცი,
            და ეს ხშირად მიგრძვნია,
            რომ მშობლების განსხვავება
            გულით არ შემიძლია.
კმარა! რადგან დედაც, მამაც
გვერდით მინდა სულ მყავდეს,
გადავწყვიტე, რომ ორივე
ერთნაირად მიყვარდეს.

ბუტია გოგიტა

მოდი ჩემთან, ჩემო კარგო,
პაწაწინა გოგიტა,
არ იტირო, მე უკეთეს
სათამაშოს მოგიტან.

მერე რა, რომ ამ ბიჭუნამ
გაგიტეხა მანქანა,
განა ღირს კი ამისათვის
გაებუტო ამხანაგს?

მომეც ხელი, შეგარიგო,
ბუტიობა არ ვარგა,
შენ კეთილი უნდა იყო,
მაჩხუბარა კი არა.

მოდი, ახლა მოეფერე,
დაუყვავე პატარას,
არასოდეს აწყენინო
შენს მეგობარს, ამხანაგს.

ახალი წლის დილა

რა მშვენიერი დილაა,
რა სურნელება ტრიალებს,
შეხედეთ, ჩემი ნაძვის ხეც
რა საამურად ბრჭყვიალებს.
ახალი წელი მოსულა
ლამაზ-ლამაზი ფერებით,
დღეს ისეთ გუნებაზე ვარ,
რომ ყველას მოვეფერები.
ავდგე, ჩავიცვა საჩქაროდ,
გზა დავულოცო ახალ წელს,
ასეთი დილა საამო
კვლავ გაგვითენდეს მრავალჯერ.
დაე, ამ წელმა ახალმა
ბედნიერება გვახაროს,
გზა გაგვინათოს და ყველა
მშვიდობის გზაზე გვატაროს.
თქვენც მოგილოცავთ ახალ წელს,
ასე გულით რომ შეჰხარით,
სიხარულით და ხალისით
კვლავ მრავალ წელს დაესწარით.

პირველი სექტემბერი

შემომხედეთ, მე ამ დილით
რარიგ ბედნიერი ვარ.
მომილოცეთ, დღეს პირველად
მე სკოლაში მივდივარ.

შეხეთ, მზე როგორ იცინის,
რა ლამაზი დარია,
მე სკოლაში რომ მივდივარ,
მიხარია ძალიან.

დედამ უკვე გამიმზადა
ფორმა, ჩანთა, წიგნები,
რვეულები, ფანქრები და
სხვა სასკოლო ნივთებიც.

აი, უკვე ჩავალაგე
მე ჩანთაში წიგნები.
პირობას ვდებ, რომ სკოლაში
ხუთოსანი ვიქნები.

ეს ლამაზი თაიგული,
მამამ რომ გამიმზადა,
მიმაქვს, რომ ჩემს მასწავლებელს
წრფელი გულით მივართვა.

შემომხედეთ, მე ამ დილით
რარიგ ბედნიერი ვარ.
მომილოცეთ, დღეს პირველად
მე სკოლაში მივდივარ.

სკოლასთან გამოთხოვება

რა დამავიწყებს ჩემს სკოლას, სადაც
გულისფანცქალით მისვლას ველოდი,
სადაც ხალისით და მონდომებით
მე ცოდნის წყაროს ვეწაფებოდი.

რა დამავიწყებს მე იმ ტკბილ დღეებს,
რის მოგონებაც გულს ასე მივსებს,
ყოველთვის ჩვენზე მზრუნველ, საყვარელ
ჩემს მასწავლებლებს რა დამავიწყებს.

რამდენი შრომა, ჯაფა და გარჯა
გასწიეს ჩვენთვის მასწავლებლებმა,
რომ ჩაექსოვათ ჩვენში სათუთად
სიკეთის ძალა ლამაზ ფერებად.

რომ არც ერთ ჩვენგანს არ ეზარმაცა,
არ ავყოლოდით რაღაც ცდუნებას,
რომ ჩვენთვის კარგად ესწავლებინათ
მამულის ტრფობა და ერთგულება.

ვფიცავ, მათ სახელს მე არ შევარცხვენ
და უყოყმანოდ სწორ გზაზე ვივლი,
რომ ჩემი სკოლის სიკეთე გამყვა,
მე სიამაყით ყოველთვის ვიტყვი.

დღეს კი, როდესაც ვემშვიდობები
მშობლიურ სკოლას და ჩემს ბავშვობას,
მე ერთხელ კიდევ გრძნობით წარმოვთქვამ:
— ძვირფასო სკოლავ, დიდი მადლობა!

ჩვენო ლამაზო დაიკო

ყველგან მზესავით ანათებ,
გვინდა, ეს ყველამ გაიგოს,
ზღაპრულ ფერიას გადარებთ,
ჩვენო ლამაზო დაიკო.

დღეს შენს დღეობას ვზეიმობთ,
გული სავსეა ხალისით,
ჩვენი ოჯახის სიხარულს
მთელი არსებით განვიცდით.

დღეს ჩვენი დედოფალი ხარ,
სავსე სიკეთით, სინაზით,
ამაში დაგვეთანხმება
აქ, ამ დარბაზში ვინც არის.

დაგბედებოდეს მშვიდობა,
ზეცა უღრუბლო, მზიანი,
სიტკბო და მხიარულება,
სიცოცხლე მრავალწლიანი.

იხარე, იბედნიერე,
გფარავდეს ძალა სიკეთის,
ღმერთმა ისმინოს ეს ჩვენი
გულით ნათქვამი სიტყვები.

გვიყვარხარ და გვეყვარები,
დაე, ეს ყველამ გაიგოს,
შენს პირად მცველად გვიგულე
შენი ორივე ძამიკო.

ჩემო მკითხველო

ჩემო მკითხველო, მე დღეს შენამდე
ძლივს მოვაღწიე სვენებ-სვენებით,
ხან სიხარულით, ხან სინანულით,
ხან აღტაცებით, ხან კი ცრემლებით.
        მე შენს გულამდე დღეს მოვიტანე
        ჩემი ფიქრი და ჩემი ოცნება,
        ჩემი სიმტკიცე, ჩემი სიმართლე
        და ჩემი სულის აბობოქრება.
ნუ გაიოცებ, ჩემო მკითხველო,
თუ შენში ცეცხლად ვერ ვიგიზგიზე,
თუ ვერ გალხინე, თუ ვერ გატირე,
ტკივილი შვებად თუ ვერ გიქციე.
        მე შენთვის მხოლოდ ის მსურდა მეთქვა,
        რასაც ველტვოდი, რასაც ვფიქრობდი,
        შენამდე ჩემი ლექსთა კრებული
        არ მიზიდია რაღაც პირობით.
თუნდაც იმიტომ, რომ წაიკითხე
ჩემი ლექსების პწკარი ყოველი,
ჩემო მკითხველო, მინდა იცოდე,
რომ შენი დიდად ვარ მადლობელი.

სარჩევი

მე ისრაელის მიფარავს ღმერთი 3
ეთაყვანეთ ისრაელის გამჩენს! 5
კურთხეულია სახელი შენი 7
ო, ისრაელო! 9
*** (ოცდაექვსი საუკუნე) 11
სამშობლო 13
დიდება შენდა, იერუშალაიმ 14
ჩემო თბილის ქალაქო 15
ძველი თბილისის 17
განახლებული უბანი 17
თბილისი 19
საქართველო 20
მე თბილისის ზეცამ მშობა 21
თბილისო ჩემო 22
სამშობლო 23
საქართველო 25
სადღეგრძელო 27
საღამოს 28
*** (მე საქართველოს შვილი ვარ) 30
ვადღეგრძელოთ 31
საქართველოს სადიდებელს ვმღერი 32
თბილისობა 34
*** (შემაძლებინე, ღმერთო, ოდესმე) 36
ჯერ შეიცადე 37
სული ლამაზი 38
*** (სიმართლეს ლამპრად დავინთებ) 39
*** (ისევ იჩინეს თავი გრძნობებმა) 40
ჩემი ხარ რადგან შენ გაგრძელება 41
*** (მე ჩემს კაეშანს არვის ვუმხელდი) 42
უარს ნუ მეტყვი, ნუ დამაღონებ 44
*** (შემომანათებ თვალებს მალულად) 46
*** (როცა დარჩები ფიქრებთან მარტო) 47

*** (გოგოვ, თავი დამანებე) 48
მუხამბაზი 49
სატრფიალო 50
გულს ნუ გაიტეხ 51
ნინოს მონოლოგი 52
*** (მინდა, გულით შემიყვარო) 54
მადლობელი ვარ 55
ჩემს მეუღლეს 56
მე ვერ გავიგე 57
ვინ დამიბრუნებს 58
შემომაშველეთ 59
ნუ მეფიცები 60
*** (მე ჩემი გული მომქონდა შენთან) 61
მე ვერ ავიტან 62
*** (მე დავიწყება შენი) 63
ნუ შეგაშინებს ჩემი სიცივე 65
სულ ჩემთან დარჩი, არსად წახვიდე 66
*** (საით მივყავარ ჩემს ბედისწერას) 67
*** (რაც უნდა მოხდეს ჩვენ შორის წყენა) 68
მენატრები 69
რამ დამავიწყოს 70
*** (მითხარი, ასე რამ დაგაღონა) 71
რატომ დამტოვე მარტო? 72
*** (რა არ ვიღონე, რა არ ვეცადე) 73
ღირს კი სიცოცხლე უსიყვარულოდ? 74
*** (წუხელ სიზმარში გნახე) 76
ო, უშენობა რარიგ ძნელია 78
ღამეა 80
ახალგაზრდობა 82
*** (ვით წყალი მწყურვალს, მაშვრალს) 84
რა ხანია 86
ნუ დამაჯერებ 87
შემოდგომის მზე 88
*** (ავაგე ფიქრის გორა) 90

ყვავილების ქვეყანა 91
ქარს გავატანე, აღარ მჭირდები 92
*** (ასე კარგი, ნეტავ, რამ გაგაჩინა?) 93
*** (შენდამი გრძნობა, გეტყვი თამამად) 93
ჩემთან დაბრუნდი, გენაცვალები 94
ჭორი 95
*** (გადაიქროლებს ქარი თავნება) 95
*** (ჩემს ოცნებიდან ვერ ამოგშალე) 96
*** (შენ ჩემი გული სევდით დანამე) 97
*** (მე შენს გულამდე გზა ვერ გავკვალე) 97
*** (მთელი გულით მისთვის ვმღერი) 97
*** (ჩემდამი გრძნობა თუ გაგინელდა) 98
სამართლის ეტლი 99
მჯერა, ოდესღაც გამიმართლდება 101
დარიგება 103
ბედის წიგნაკი 105
*** (თუ შენ ნამდვილად გაქვს მისწრაფება) 106
ახალგაზრდობა 107
ნუ შეეხებით 108
მოხუც მშობელს ნუ დატოვებ მარტო 109
რად აჰყოლიხარ? 110
ნუ შეეცდები 111
*** (ის, ვინც სიკეთეს უმღერის) 112
სიკეთის გულით უნდა გჯეროდეს 113
ერთგულება 114
*** (კაცად კაცი მაშინ ვარგა) 114
ეს რა დრო დაგვიდგა 115
*** (მე რომ მიხაროდა) 117
მშვიდობა გვინდა 119
ლექსი 120
მე ახლა მივხვდი 121
*** (მე ახლა უნდა ავმღერდე) 123
იმედის დილა 124
*** (მხიარული კაცი ვარ) 126

*** (სიყვარულის ხიდი გავდე) 128
*** (დღეს უთუოდ ჩემი დღეა) 130
დედა 131
ჩემო დედა 133
მოგონება 135
სიკეთის წყაროვ 139
ეს გული მაინც ახლოა მზესთან 141
ჩემო შვილებო 142
*** (ჩემო მშვენიერო,) 144
*** (რა ლამაზია დილა) 144
*** (ერთი რამ მინდა გისურვო მხოლოდ) 144
სამადლობელი მასპინძლობისთვის 145
მერის 147
*** (მე დღემდე ვერ გამიგია) 149
ეუძღვნი ჩემს ძმობილს, აბრამ ბაზელს 151
მასპინძლის სამადლობელი 153
*** (მე შენ მოგიძღვენი სიყვარული ჩემი) 154
ჩემი მერცხალი 155
გაზაფხულდა 157
ახალი წელი 159
*** (მზეო, ამოდი, ამოდი) 161
ცხრა მაისი 162
მიყვარს მაისი 163
მოდის ახალი წელი 164
*** (მოვდივარ, მომიხარია) 166
მრავალ, მრავალ ახალ წელს! 167
*** (საით ფრენ, ჩემო მერცხალო) 168
გაზაფხული 169
დედის დღე 170
მამიკო 171
საყვარელო ბებია 172
ბები 173
ლიკა მქვია სახელად 174
ბაბუის სახელს ვატარებ 176

სიკეთეს გულით ვატარებ 178
ბედობის დღეს დავიბადე 180
ჩემი კარგი დედიკო 182
ლიას სიზმარი 184
გთხოვთ, მირჩიოთ 186
ბუტია გოგიტა 187
ახალი წლის დილა 188
პირველი სექტემბერი 189
სკოლასთან გამოთხოვება 191
ჩვენო ლამაზო დაიკო 193
ჩემო მკითხველო 195

რედაქტორი	მანანა უკლება
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თამარ ბუჯიაშვილის
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა	მიხეილ სადოევის

გამომცემლობა „ცოდნა“
თბილისი, რუსთაველის გამზ. №42
ტელ.: 934 932